645
1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

6 ISSN 0821-1509
1987



# საქართველოს ქალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დ. იაკობაშვილის ფოტო

თბილისის ბავშვთა მე-10 პოლიკლინიკის პედიატრი მარი ჩოკოშვილი როგოტრონთან

„საქართველოს ქალი"

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

645
1987
ეროვნული ბიბლიოთეკა

**პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!**

## ქალთა საერთაშორისო კონგრესი

**2000 წლისათვის**

**უბირთვულიარაღოდ!**

**მშვიდობის, თანასწორობისა და განვითარებისათვის!**

1987 წლის 23 ივნისიდან ქ. მოსკოვში ტარდება ქალთა საერთაშორისო კონგრესი.

კონგრესის მიზანია უფრო მეტად გააფართოოს და შეამჭიდროოს ქალთა ძალები ბირთვული საშიშროების ასაცილებლად, კაცობრიობის სიცოცხლისა და მომავლის დასაცავად, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის, განვითარების, სამართლიანობის, სოციალური პროგრესისა და ქალთა თანასწორუფლებიანობის უზრუნველსაყოფად.

## 1 ივნისი—ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

მარიკა ბარათაშვილი

# პლანეტავ, გესმის?!

ბავშვს ნუ წაართმევთ
სათამაშოებს,
ნუ, ნუ ვაჩვენებთ
ბავშვებს ყუმბარებს.
ოცნებებს, რასაც
წლები გვაშორებს,
ჩვენ ასახდენად
შვილებს ვუბარებთ.

და როცა ფეხით
თელავენ ყვავილს,
როდესაც მშვიდად
არ ძინავთ ბავშვებს,
ვიღაცის ნებით,
რაღაცა ძალით
ომი მქუხარებს
ნორჩების თავზე,

სადაც არ უნდა
ტიროდეს ბავშვი,
სადაც არ უნდა
ცელავდნენ ბავშვებს,
ცრემლი კიაფობს
მსოფლიოს თვალში,
მსოფლიოს ბავშვის
ტკივილი ავსებს.

მოსულან ქვეყნად
განა ურვისთვის! —
საფრენად ფრთები
სჭირდებათ მართვებს.
ბავშვის სახელით,
ბავშვის გულისთვის,
ჩვენ ქვეყნად ყველას
გმირობა გვმართებს!

მოსულან ქვეყნად,
მოსულან ქვეყნად,
რომ შემდეგ, შემდეგ
ღმერთს შეედავონ.
გესმის? ეს მათი
გულები ფეთქავს,
ეს — მათი ღელვით
ღელავს სამყარო.

ნუ, ნუ მოვაკლებთ
ბავშვებს სინათლეს,
ნუ, ნუ მოვაკლებთ
რწმენას და იმედს...
არა სიყალბით,
არა სიმდაბლით —
სიკეთით ვზრდიდეთ,
სიმტკიცით ვზრდიდეთ!

გესმის? მოდიან
მხიარულ მარშით...
გზა მოვუფინოთ
ია-ვარდებით.
ხარობდეს ქვეყნად
ყოველი ბავშვი,
ცა ულიმოდეს
განთიადებით.

პლანეტავ, გესმის?
მოდიან მარშით...
ჩვენ მათთვის ვიბრძვით,
ჩვენ მათთვის ვქველობთ!
გულის კარები
გავუხსნათ ბავშვებს,
ზეცის კარები
გავუხსნათ ბავშვებს,
ნათელ გზით ევლოთ,
სიკეთით ევლოთ!
მშვიდობა ბავშვებს!

საქ. სსრ კ. [illegible]
სახ. სახ. [illegible]
ბიბლიოთეკა

ბავშვები ჩვენი იმედი, ჩვენი მომავალია

# სიყვარულის [illegible]







ფერადი მოზაიკით მოუხატავთ საბავშვო ბაღის ორსართულიანი შენობა. შეჰყურებთ და თვალი ხარობს, გული სიამით ივსება. არქიტექტურული ანსამბლი უსიტყვოდ მოგითხრობთ სოფელ ნატანების ადამიანთა მარჯვენით ნაგებსა და ნაამაგარზე. ამ ედემის ბაღად ქცეულ სოფელზე გადის საკავშირო ტურისტული გზა.

იმ დღეს, როგორც იტყვიან, კარგ ფეხზე დავრჩი მისული. კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთან და სოციალისტური შრომის გმირთან გივი წითლიძესთან ვერიკო ანჯაფარიძე, სოფიკო ჭიაურელი და კოტე მახარაძე შემოვიდნენ. წელიწადი ისე არ გაივლიდა ვერიკოს ნატანები ერთხელ მაინც არ მოენახულებინა. მისი გამოჩენა დღესასწაული იყო. დიდ მსახიობს ნატანებში მრავალი ნაცნობი და თაყვანისმცემელი ჰყავდა.

მისვლის მიზეზი გავაცანი თავმჯდომარეს: — ამბობენ ისეთი საბავშვო ბაღი აგიშენებიათ, ავ თვალს არ ენახვება, მოვედით, რომ დავრწმუნდეთ ამაში მეთქი. მეგზურობა გივიმ გაგვიწია:

საბავშვო ბაღის გამგე ნელი ხომერიკი ჭიშკართან შემოგვეგება. ოთხი ათეული წელია ნელი შეუცვლელი გამგეა. პატარებზე ფიქრში შემოეპარა ჭაღარა.

მოფარდაგებულ განიერ დერეფანში იდიალური სიმყუდროვე და სისუფთავეა. ირგვლივ ყველაფერი ახალია. თითქოს კედლებს საღებავიც არ შეშრობია. კიბეს ავყევით და ზღაპრულ სამყაროში მოვხვდით. კედლებიდან შემოგვყურებენ წითელქუდასა და ნაცარქექიას გმირები, ანცი ბაჭია და გაუმაძღარი მგელი, ფლიდი მელა და ყოყლოჩინა მამალი. ორთავე სართულის დერეფნები ფერადი ილუსტრაციებით არის დამშვენებული. აქ პატარებს უყალიბდებათ ხასიათი, ეჩვევიან ფიქრსა და ოცნებას, უმდიდრდებათ ფანტაზია.

ლილი კახიძის ჯგუფში შევედით. ბავშვები მერხებს უსხედან. ლოყები ჯანსაღად უღაჟღაჟებთ. ცნობისმოყვარე, მოუსვენარი თვალებით შემოგვცქერიან.

— აბა, ვინ იტყვის ლექსს, — მისალმების შემდეგ გამოელაპარაკა გივი პატარებს. ათიოდე ბავშვი ერთად წამოდგა. ვრცელ ოთახს მოეფინა წკრიალა ხმა: „ყაყაჩოსა სიწითლითა“, „მე პატარა პიონერი“, „დედა“, „ჩემი ფისო“. ლექსებად დაიღვარა ლალი ჩიქოშუა, ნათია კილაძე...

მოვინახულეთ პედაგოგების ლ. ღლონტის, ა. კვაჭაძის, ნ. წითლიძის აღსაზრდელები. დერეფანში მუსიკის ტკბილი ჰანგები შემოიჭრა. ვრცელ დარბაზში პედაგოგ ანა მურჯიკნელს როიალთან ბავშვები შემოეკრიბა. მათ შეწყობილ, საამო ხმებს დარბაზი ველარ იტევდა და სივრცეს ეფინებოდა.

— კონცერტისათვის ვემზადებით, ბავშვების მშობლები გვყავს მოპატიჟებული, — გვითხრა ანამ.

ერთ-ერთ დარბაზში თოჯინების თეატრის სცენაა მოწყობილი. აქ ზოგჯერ პროფესიონალებსაც მასპინძლობენ. უფრო ხშირად კი პედაგოგები ამზადებენ მცირე ფორმიან სცენებს ნორჩების მონაწილეობით.

მაგრამ ყველაზე დიდი შთაბეჭდილება იმ დარბაზმა მოახდინა, სადაც საცურაო აუზებია გამართული. დარბაზს სიმაღლით ორთავე სართული უჭირავს. კედლები ფერადი



თოჯინების თეატრი



საინტერესო გაკვეთილი



მეთოდისტი ანა მეფარიშვილი

დ. იაკობაშვილის ფოტოები

მოზაიკით არის მოხატული. კედლებზე და აუზებში ზღვის მთელი სამყაროა წარმოდგენილი. რეზინის რგოლები, იხვები, გედები აუზთან დაუწყვიათ.

— ვინ არის პროექტის ავტორი? — იკითხა კოტე მახარაძემ.

— ვახტანგ ცქიფურაშვილი.

— დიდებულია. მართალი გითხრათ, ასე სრულყოფილი საბავშვო ბაღი არსად მინახავს.

— ბაღში რამდენი ბავშვი გყავთ, — დაინტერესდა სოფიკო.

— აქ ორასი. სოფელში კიდევ ექვსი საბავშვო ბაღი გვაქვს ექვსასამდე ბავშვით.

— ამიტომაც კრეფენ თქვენი ქალები ჩაის ასე ბარაქიანად, — თქვა სოფიკომ.

საბავშვო ბაღები იმიტომაც გავხსენით, რომ დედებს ჩაის კრეფაში ხელი არ შეეშალოთ. ოღონდ გამრავლდნენ და წახალისების ფორმაც დავაწესეთ. ვისაც სამი შვილი ჰყავს (მხოლოდ უფროსი არ უნდა იყოს თექვსმეტზე მეტი წლის), დამატებით ვაძლევთ გამომუშავების 10 პროცენტს, ვისაც ოთხი ჰყავს — 15 პროცენტს, ოთხზე მეტს — 20 პროცენტს. გარდა ამისა, ვინც მოისურვებს, 1500 მანეთამდე სესხს იღებს. აქაც შეღავათს ვავრცელებთ, ყოველი მომდევნო შვილის გაჩენისას ას მანეთს აღარ ვახდევინებთ. ამიტომაცაა, რომ ვმრავლდებით. ოცი წლის წინათ ნატანებში ორი ათასი მცხოვრები იყო, ახლა შვიდი ათასია.

საბავშვო ბაღში კარგა ხანი დავყავით. ქალბატონი ვერიკო საწერ მაგიდასთან მიიპატიჟეს. მაგიდაზე შთაბეჭდილებათა წიგნი იდო. გადაფურცლა. რამდენიმე ფურცელზე უცხოელებსაც ჩაეწერათ. ვერიკომ საწერკალამი მოიმარჯვა: „უნდა ვაღიარო, რომ გამაოცა ყველაფერმა, რაც ნატანების საბავშვო ბაღში ვნახე. იგი გივი წითლიძის ინიციატივით არის აგებული. მივდივარ და თან მიმაქვს მადლიერების გრძნობა".

— დედაჩემის ნათქვამს ვერაფერს დავუმატებ, — თქვა სოფიკომ და ვერიკოს შემდეგ ხელი მოაწერა. ხელწერა დატოვა კოტე მახარაძემაც.

რამდენიმე დღის შემდეგ შთაბეჭდილებათა წიგნს ლენინური პრემიის ლაურეატის, აკადემიკოს ოთარ ლუდუშაურის გულთბილი სტრიქონები დაემატა. „ვნახე იშვიათი და ულამაზესი საბავშვო ბაღი, სასურველია, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი ასეთი ბაღი აშენდეს".

გარემო აყალიბებს აღსაზრდელის ცნობიერებას, ამის საილუსტრაციოდ ნატანების საბავშვო ბაღიც გამოდგება. ჩვენ ვნახეთ ცეროდენების ნახატები, ნაძერწები, მათ მიერ შექმნილი თოჯინები, მოვუსმინეთ ნორჩ დეკლამატორებს, მუსიკოსებს. დიახ, ისინი უკვე ოცნებობენ, ოსტატდებიან, ქმნიან და უმანკო თვალებით შეჰყურებენ მოწმენდილ ცას.

მიხეილ გორგილაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბავშვი რომ ჯანმრთელი იყოს

# სიახლეები ბავშვთა პოლიკლინიკაში

> „ადამიანების ჯანმრთელობის დაცვა და განმტკიცება უპირველესი მნიშვნელობის საქმეა. ჯანმრთელობის პრობლემები ფართო სოციალური პოზიციებიდან უნდა განვიხილოთ".
>
> მ. ს. გორბაჩოვი

ერთი თვის გოგონა რუსუდან ცხვედიანი ჩემს თვალწინ გააშიშვლეს და მოსხლეტით ტყორცნეს საცურაო აუზში. მოულოდნელობისაგან შევკივლე; ბავშვი დაიხრჩობა-მეთქი, მაგრამ ერთი წამიც არ გასულა, გოგონა ამოტივტივდა და უცებ გაცურა.

— ასე ვაკაჟებთ პატარებს, — ღიმილით მითხრა ლალი გუჯაბიძემ, თბილისის ბავშვთა მეათე პოლიკლინიკის მთავარმა ექიმმა და დასძინა: აღიარებულია, რომ ბავშვები, რომლებიც ცურვას უფრო ადრე სწავლობენ, ვიდრე სიარულს, ჯანმრთელები იზრდებიან და იშვიათადაც ხდებიან ავად.

ახლა ჩვენს პოლიკლინიკაში დანერგილ სიახლეებს გაგაცნობთ, — მითხრა და ერთ-ერთი კაბინეტისაკენ გამიძღვა.

— ეს ჩვენი რობოტრონი გახლავთ. პატარების ჯანმრთელობის სამსახურში კომპიუტერული სისტემაც ჩავაყენეთ, — განმიმარტავს მთავარი ექიმი, თან მოგრძო ფურცელს მაწვდის, სადაც ვკითხულობ: გვარი — ჯავახიშვილი, სახელი — მიშა, ასაკი — ექვსი თვის. შემდეგ ჩამოთვლილია ბავშვის ფიზიკური მონაცემები: წონა, სიგრძე, სიმაღლე... ქვემოთ ექიმის შენიშვნაა: ბავშვი ძალიან ნელა მატულობს წონაში. სპეციალურ ცხრილში კი წერია: ესაჭიროება ხაჭო, ხორცის პიურე, ხილის, ბოსტნეულის წვენები და ვარჯიში.

— ეს რეკომენდაცია მანქანამ მიაწოდა ექიმს. ჩვენი „ჭკვიანი" მანქანა თავადვე ითვალისწინებს ნახშირწყლების, ცილებისა და ცხიმების კალორიულობას. უწინ ყოველივე ამისათვის სულ ცოტა საათნახევარი სჭირდებოდათ. თუ გაითვალისწინებთ, რომ საბურთალოს რაიონის მარტო იმ უბნებში, რომლებსაც ჩვენ ვემსახურებით, 17 400 ბავშვია, ადვილად წარმოიდგენთ, რამდენი დროის ეკონომიას გვაძლევს მანქანა, რომელიც უშეცდომოდ გვინიშნავს ბავშვის კვებას. მისივე მეშვეობით დროულად ვატარებთ დისპანსერიზაციას და ბავშვების ჯანმრთელობის სტატისტიკურ ანალიზს. მანქანას ემსახურება სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი მაიკო პატარაია. ახლა სტუდენტებს ნება ეძლევათ სურვილის მიხედვით იმუშაონ სამედიცინო დაწესებულებებში. ახალგაზრდობას ყველა პირობა აქვს შექმნილი, რომ კვალიფიციური სპეციალისტები გახდნენ. ჩვენ ფილიალებიც გვაქვს, — სიამაყით მეუბნება ქალბატონი ლალი. ორი ათასზე მეტი ბავშვი ცხოვრობს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დასახლებაში და ვაშლიჯვარში. ახლა, როცა დიდი დილომიც შენდება, უფრო მეტი ბავშვი გვეყოლება. მიუხედავად მათი მრავალრიცხოვნებისა, ჩვენს პატარა პაციენტებს არც ყურადღებას ვაკლებთ, არც ზრუნვას. ყოველ თვეში გვაქვს გასვლითი დღეები. ჩვენი დიაგნოსტიკური ლაბორატორიები ატარებენ დისპანსერიზაციას, პედიატრები აწარმოებენ მიღებას.

— ალბათ, ეს ყველაფერი სირთულეებთან არის დაკავშირებული, — ვეკითხები მთავარ ექიმს.

— ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ 17.400 ბავშვი ჯანმრთელი გვყავდეს; ჯანმრთელი ბავშვები — ჯანმრთელი თაობაა. ეგ კი არა, პატარების სიყვარულით მანქანის მართვაც შევისწავლეთ. ვეძისის დასახლებაში, რომელიც მაღლობზეა და სახლები ერთმანეთისაგან მოშორებით დგას, ძნელია სიარული თოვლში, წვიმაში, ქარში. პოდა, ჩვენც მანქანებით (ზოგი საკუთარით, ზოგიც პოლიკლინიკის) ვემსახურებით პატარებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ ერთ ახალ გატაცებასაც გაგაცნობთ, ჩამოვაყალიბეთ ჭრა-კერვის წრე. გვინდა ჩვენი თეთრი ხალათები, უნიფორმას რომ ჰგავს, ცოტა გავაცოცხლოთ, ლამაზად შევკეროთ ვარდისფერი ან ცისფერი ქსოვილისაგან. საყელოები და ჯიბეები პატარა ბაჭიებით მოვქარგოთ, ახლა ხომ კურდღლის წელიწადია — ღიმილით მეუბნება ლალი.

მივიხედ-მოვიხედე და ვიგრძენი, რომ პოლიკლინიკის კოლექტივს ყველაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ სამედიცინო დაწესებულება ბავშვებისთვის გულმისავალ, ლამაზ და მყუდრო სახლს ჰგავდეს. ყველაფერი მშვენიერია: ვარდისფერი ფარდები, ფანჯრის რაფებზე ცოცხალი ყვავილები, დერეფანში გობელენები, საიდანაც ზღაპრის პერსონაჟები პატარებს თავს ახსენებენ.

ტელეფონმა დარეკა. ქალბატონი ლალი ბოდიშს მიხდის და პასუხობს.

— აუცილებლად მოვალ, დღესვე... როგორ არის ჩვენი პროექტის საქმე? ხომ იცით, წელს გვაბარებთ... მოკლე საუბარი რომ დაამთავრა, სახეგაცისკროვნებულმა მითხრა:

— მესამე სიახლეზე ახლა მოგახსენებთ.

ჩვენი ახალი პოლიკლინიკის პროექტზე მქონდა საუბარი, აი, ჯანმრთელობის ნამდვილი კერა ახლო მომავალში გვექნება: მზიანი ოთახებით, თანამედროვე სამედიცინო აპარატურით, სოლარებით, საცურაო აუზებით, სათამაშო ოთახებით, აერობიკის დარბაზით და სპეციალური დიზაინით. იცით, ყველამ მხარი დამიჭირა, როცა ეს საკითხი დავაყენე თბილისის მეორმოცე პარტიულ კონფერენციაზე — ჯანმრთელობის სამინისტრომ, პარტიის საქალაქო კომიტეტმა, თბილისის აღმასკომმა. უკვე აღარაფერს ვამბობ საბურთალოს რაიონის ხელმძღვანელობაზე. ყველა მხარში ამომიდგა და აი, პროექტიც მზადდება. ამის თაობაზე დამირეკა ახლა არქიტექტორმა ნუგზარ ჩართოლანმა. გაისად, მშენებლობას ვიწყებთ. ახალი პოლიკლინიკა რომ გვექნება, მაშინ მოგვინახულეთ.

...ვტოვებ ბავშვთა ჯანმრთელობის ამ მშვენიერ კერას იმ რწმენით, რომ მომავალში მას უფრო სრულყოფილსა და კეთილმოწყობილს ვიხილავთ.

გალინა კენჭოშვილი

* * *



დ. იაკობაშვილის ფოტოები

# ვულოცავთ!



## ბავშვების საყვარელი პოეტი გიორგი წერეთელი 60 წლისაა

### ტირია და წუნია

სულ წუწუნებს,
წუწუნებს...
დედას სადილს უწუნებს.
მამას წალებს უწუნებს...
ბებოს წინდებს უწუნებს...
მისი დაწუნებული —
გამოუხრავთ წრუწუნებს.

სადაც არის წუნია,
მოთქმა და წუწუნია...
ტირია და წუნია
ცრემლით გაწუწულია.

### გულმავიწყი

— ცეცხლს არ უნდა ეთამაშო!
— დენს არ უნდა ეთამაშო!
ალარ ახსოვს დარიგება,
კვლავ თამაშობს დენთან მაშო.
იქ ჩაურთო,
აქ ჩაურთო
და ჩართული დარჩა უთო...
სახლში როდი დარჩა მაშო,
გამოვიდა სათამაშოდ.
ჩართული რომ დარჩა უთო,
მაშომ მაშინ გაიხსენა,
როცა ცეცხლმა გამოუყო
სარკმელიდან ალის ენა.

გიორგი წერეთელი

# სილამაზისა და ფანტაზიის გაკვეთილები

თბილისში, საბურთალოს რაიონის ერთ-ერთ უბანში, საირმის ქუჩის ბოლოს სკოლის მოდერნიზებული შენობა დგას.

სკოლის შესასვლელში, ხის ლამაზ კარებზე ასეთი წარწერაა: ა. ვირსალაძის სახელობის თბილისის ხელოვნების სკოლა.

ქართველი პიანისტისა და პედაგოგის, საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის ანასტასია ვირსალაძის სახელს ატარებს ეს სკოლა.

ცნობილი ბებიის უფრო ცნობილი შვილიშვილის, მსოფლიო ახალგაზრდობის ვენის მუსიკალური ფესტივალისა და მრავალი კონკურსების ლაურეატის ელისო ვირსალაძის პორტრეტი კი დირექტორის კაბინეტს ამშვენებს. შთამბეჭდავია, თითქოს ბებია და შვილიშვილი სკოლის სიმბოლური ნათლიები იყვნენ.

ამ სკოლაში მალე ათი წლის იუბილეს იზეიმებენ. ამ ხნის მანძილზე აქ ასობით ბავშვი მოემზადა ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

შევიხედოთ განყოფილებებში...

სარკეებიან საკონცერტო დარბაზში ქორეოგრაფიული ჯგუფი მეცადინეობს, ერთმანეთზე უკეთესი გოგონები ნარნარად ცეკვავენ.

ფორტეპიანოს გაკვეთილზე ისევ გოგონები მეცადინეობენ. პედაგოგი გულიკო მანჯგალაშვილი ამბობს: — მუსიკის გაკვეთილებზე მთავარი ყურადღება სტილის ფაქიზ შეგრძნებას, დახვეწილი გემოვნებისა და ბგერის მაღალი კულტურის გამომუშავებას ექცევა, ამის მისაღწევად ჩვენი პედაგოგები თითოეულ ბავშვს დიდი ყურადღებით ეკიდებიან.

სახვითი ხელოვნების განყოფილების აღსაზრდელები — გოგონები და ბიჭები დიდ ინტერესს იჩენენ ხატვისადმი. ისინი ოსტატდებიან როგორც ფერწერაში, ასევე გრაფიკასა და ძერწვაში. დარბაზში ბლომადაა დაუმთავრებელი ნამუშევრები, ესკიზები, ნატურმორტები.





ფ. იაკობაშვილის ფოტოები





სკოლის დირექტორი ნათელა წერეთელი სკოლის ცხოვრებას გვაცნობს:

ჩვენთან ბავშვები სწავლას მოსამზადებელ ჯგუფში 5-6 წლის ასაკიდან იწყებენ. მოსამზადებელი პერიოდი მოწაფის შესაძლებლობებს ავლენს. მერე კი თვითონაც ირჩევენ, რომელ განყოფილებაში იმეცადინონ. 7 წლის ბავშვი უკვე პირველკლასელია. სკოლაში ბავშვს იმის უფლებაც აქვს, ხელოვნების სხვადასხვა დარგს დაეუფლოს.

ამჟამად სკოლაში ექვსი განყოფილებაა: საფორტეპიანო, საორკესტრო, სახვითი, ქორეოგრაფიის, სახტრადო-თეატრალური. სწავლის ხანგრძლივობა დღემდე ასეთი იყო: ქორეოგრაფია — 5 წელი ისწავლებოდა, სახვითი ხელოვნება — 6 წელი, დანარჩენი დარგები — 7 ან 8 წლიწადი.

სკოლაში წამყვანი თეატრალურ-მუსიკალური განყოფილებაა, რომელიც ახლად შეიქმნა. აქ შესანიშნავად იკვეთება თითოეული ბავშვის ნიჭი და უნარი. ამ ნიჭიერებიდან კიდევ საუკეთესოებს ვარჩევთ და მერე იწყება თეატრალური დადგმისათვის მზადება, რეპეტიციები და სისტემატური დაოსტატება.

კონცერტები ხშირად იმართება, რაც ერთგვარ სტიმულს აძლევს ბავშვებს. მოგეხსენებათ, თავის გამოჩენის სურვილი ყველას აქვს, ამიტომ მზადებისა და მოლოდინის პერიოდი მათთვის ძალზე საინტერესოა.

ამ განყოფილებამ სიცოცხლე შემოიტანა სკოლაში. მოწაფეები გაააქტიურა და მათი ნიჭი წარმოაჩინა.

ნიჭიერი ბავშვი ბევრი გვყავს. დღევანდელი ბავშვის აღზრდა ძალზე გართულდა. ზოგჯერ მგონია, რომ ბოლომდე ვერ ვხსნით მათ შესაძლებლობებს, ფანტაზიას. მათთან სრულყოფილ მუშაობას მხოლოდ შემოქმედი პედაგოგები შეძლებენ. ასეთები კი ბევრი გვყავს: ნატა ნაცვლიშვილი, ლია გრიგოლიანი, ლუდმილა ლომაევა, ზეინაბ ბალიაშვილი, ნინო კაკულია, უშანგი ლონდარიძე, კარინა ოსიპოვა, ციცინო მენთეშაშვილი, ძინა ვირსალაძე, მარინა ქარუმიძე.

გარდაქმნა ჩვენც გვეხება, ამიტომ ვფიქრობთ ახალი განყოფილებების შემომატებას. ესენია: თანამედროვე ცეკვები, საფოფაცხოვრები ცეკვები, სამეჯლისო ცეკვები. ამასთან დაკავშირებით, ალბათ, სწავლის ხანგრძლივობა გაიზრდება.

ქორეოგრაფიული განყოფილების სასწავლო ნაწილის გამგე ლია გრიგოლიანი გვიყვება:

ამჟამად ქორეოგრაფიაში ასი ბავშვი მეცადინეობს. ისინი შემდეგ საგნებს გადიან: კლასიკური ცეკვა, რიტმიკა, მუსანბანი, ქართული ცეკვა, სახასიათო ცეკვები, სავალდებულო ფორტეპიანო.

მეცადინეობა კვირაში სამჯერ ტარდება. ბავშვი სკოლაში თითქმის 3 საათი რჩება, ან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში წასვლამდე ან სკოლის შემდეგ.

ქორეოგრაფიის განყოფილებაში ბიჭები გვაკლია. სკოლაში ვაჟები ნაკლებად მოდიან. სამეჯლისო ცეკვების შესასწავლად კი გოგონებს პარტნიორი ბიჭები სჭირდებათ.

ბავშვი რომ ხელოვნების სკოლას დაამთავრებს, თუ მას განსაკუთრებული მონაცემები და სურვილი აქვს, სწავლას გააგრძელებს თბილისის ქორეოგრაფიის სასწავლებელში.

თბილისის ხელოვნების სკოლას თავისი დიდი თუ პატარა პრობლემები აწუხებს: არ ჰყოფნით დარბაზები, კლასები და ხშირად წყალიც არ არის. საგნების მომატებით და ბავშვთა რაოდენობის გაზრდით, ბუნებრივია, დარბაზები და კლასები საერთოდ აღარ ეყოფათ. ცხელი წყალი კი ქორეოგრაფიულ სასწავლებელს ნამდვილად სჭირდება.

ბავშვების წარმოჩენისათვის, მათი ნიჭისა და ფანტაზიის გაშლისათვის სკოლაში გაიხსნება მუსიკალური სტუდია — ეს აღმზრდელებისა და აღსაზრდელების დიდი ხნის ოცნებაა.

ირმა ჩოფიკაშვილი

## ეკა ჯერ მხოლოდ 11 წლისაა

* * *

მე იმ უიღბლო მებადურს ვგავარ,
ოქროს თევზი რომ აუფართხალდა,
მაგრამ უცხო მშვენიერებამ
დაუკარგა ნატვრის სურვილი.

მე იმ იღბლიან ოქროს თევზს ვგავარ,
უშურველად რომ აგისრულებთ
ძველა სიკეთეს!

* * *

წამოიკიდა ჭიანჭველამ ციცქნა
ნამცეცი,
და მიდის ჩემი ალტაცების ვიწრო
ბილიკზე.
თან პაწია თვალებს აცეცებს —
შემომხედეთ, რაც ვარ მე ვარო!
ეჰ, ჭიანჭველავ,
უმნიშვნელოა შენი ტვირთი,
და ეგ შრომა —
ჭიანჭველის თავგამოდება.

* * *

ხანდახან მამას დაგიძახებ,
როცა სიტყვებს მოენატრებათ
რაღაც ნაცნობი,
როცა ცას ვარსკვლავი მოსწყდება,
როცა ქარი ღრუბლის ცრემლით
გამოიტირებს
მიწას,
როცა თოჯინებს დაეძინებათ
და ძველი მაგიდა
გარდაცვლილ სიზმრებს
ტაბლას გაუწყობს,
ხანდახან მამას დაგიძახებ,
კარგი?

## პოეზია

* * *

უეცრად ისევ დამწყდება გული,
რომ კვალიც კი აღარ ჩანს იმის,
ერთი წუთის წინ რაც მიხაროდა,
წუთის წინ რომ ჩიტი გალობდა,
ახლა ის ტოტი
საკუთარ ჩრდილს ხატავს მიწაზე.

* * *

შენგან კარგი მსახიობი დადგებოდაო,
რამდენჯერ უთქვამთ.
არც მე ვსაკლიხობ სცენას,
მაგრამ
ყველგან, ყოველთვის,
მხოლოდ და მხოლოდ
ჩემს როლს ვასრულებ.

არის მუსიკა
და მაინც რადგან
ზოგჯერ პაუზა უფრო მეტია,
დუმილი თავის კანონებს ადგენს
და სულში მძაფრად იწყებს ხეტიალს.
და არის სიტყვა. და არის ლექსი,
მაგრამ ხანდახან ლექსზე მეტია
სიტყვა, რომელიც უსახო სიტყვის
ვიწრო ნაჭუჭში ვერ ჩაეტია.
და არის ლექსი, მაგრამ ყოველთვის,
ჩანს, პოეზია უფრო მეტია,
როცა მუსიკად ქცეული სიტყვა
სულის ხლართებში იწყებს ხეტიალს.

* * *

ირიურაჟა და სიზმრებმა კარი
ჩამოხსნეს.
დარჩა კედელი...
და იმ კედლის იქით კუნძული.
ველარ შევძელი
დაბრუნება ფერად ,სიზმართან.
როგორც ალუბლის ციცქნა კუნწულა,
ვკიდივარ ფიქრით შეჭმუხნილ ღამეს.
ილვიძებს დილა
და მე არ ვიცი,
ვინ რატომ, რისთვის მალაპარაკებს.

ეკა ბაქრაძე,
ხაშურის რკინიგზის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აგრონომი ვერ თმობს მანქანას

# თხუთმეტი ძმის ერთი და



მზიური ქარდავა შვილებთან

წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობის ადმინისტრაციული შენობის წინ წარჩინებული მეჩაიე მექანიზატორის, სოციალისტური შრომის გმირის მზიური ქარდავას პატივსაცემად ალისფერი დროშაა აღმართული, რადგან მან სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალჯერ გაიმარჯვა.

მზიური ქარდავა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი მეჩაიე მექანიზატორი ქალია. ჩაის მწვანე ფოთლისა და მიწათმოქმედების სხვა კულტურების წარმოების გადიდების საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშისა და ოქტომბრის რევოლუციის ორდენებით, მრავალი მედლით, არის საქვეყნოდ ცნობილი მექანიზატორი ქალის, ლეგენდარული პაშა ანგელინას პრიზის მფლობელი, თანასოფლელებმა რამდენჯერმე აირჩიეს რესპუბლიკური და რაიონული საბჭოების დეპუტატად... ეს ბედნიერება უბრალო მშრომელ ქალს შრომამ არგუნა.

აი, რა გვიამბო გმირმა ქალმა:

— მეჩაიეობა ჩემი ბავშვობის გატაცებაა. ჯერ კიდევ სკოლაში ვსწავლობდი, როცა დედას ვეხმარებოდი ჩაის ფოთლის კრეფაში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კი, დამოუკიდებლად შევუდექი შრომას. თუმცა მეუხერხულება ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ მაინც ვიტყვი — წარმატებას წარმატება მოსდევდა, მალე კოლმეურნეობაში მოწინავე მეჩაიეს სახელი დავიმკვიდრე, გამოცდილ თანამოსაქმეებსაც არ ვუდებდი ტოლს. ყველაზე დიდი სიხარული მაშინ ვიგრძენი, როცა ჩემი სურათი მოწინავეთა დაფაზე მოათავსეს და რაიონულ გაზეთშიც დაიბეჭდა.

ერთ მშვენიერ დღეს მეურნეობაში რამდენიმე ჩაის საკრეფი მანქანა „საქართველო“ მივიღეთ. მაშინ ბევრს არ სჯეროდა, რომ „რკინის ხომალდი“ ნაზ დუყებს გამოარჩევდა უხეში ფოთლებისაგან. ამაში მალე დავრწმუნდით, მანქანამ ერთ დღეში იმდენი ფოთოლი მოკრიფა, რამდენიც ხელით მკრეფავთა ოცდაათკაციან ბრიგადას ხელეწიფებოდა მხოლოდ. მაშინ მისი მართვის დაუძლეველი სურვილი გამიჩნდა. მამას გავანდე ჩემი „საიდუმლო“. მან ასე მითხრა: მექანიზატორობა რა ქალის საქმეა, წადი, უმაღლესში ისწავლე, მე სელს შეგიწყობო. მაგრამ გუმანით მივხვდი, მშობელი მაინცდამაინც არ იყო ჩემი გადაწყვეტილების წინააღმდეგი.

გავიარე მოკლევადიანი კურსები და მას შემდეგ „საქართველოს“ საჭეს ვუზივარ. ვუვლი მანქანას, ხარვეზებს უმალვე ვამჩნევ და მყისვე ვასწორებ, დროულად ვწმენდ, ვასუფთავებ, ვზეთავ... მანქანაც თავის მხრივ მიფასებს ამაგს — სეზონში შეუფერხებლად მუშაობს. უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე მანქანის უწესივრობის გამო არც ერთი საათი არ დამიკარგავს.

— მეჩაიეობაში მექანიზაციის გამოყე-

ნებას, — ამბობს მექანიზატორი, ორი ასპექტი აქვს: ეკონომიკური და სოციალური. შრომა უტოლდება ინდუსტრიულს, იზრდება პროფესიის პრესტიჟი, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის.

მზიური ქარდავას კომპლექსურ მექანიზებულ რგოლს მოსავლელად 14 ჰექტარი ჩაის პლანტაცია აქვს გაპიროვნებული. ძველთაგანვე ამ ადგილებს ეწერი რქმევია, რაც მწირ, უნაყოფო მიწას ნიშნავს და ხალხსაც უმოსავლო ნიადაგისათვის ზედგამოჭრილი სახელი უწოდებია. ახლა? მიბრძანდით და ნახეთ! ზღვასავით მოლივლივე, თანაბრად განვითარებული პლანტაციები ლამაზად ქარგავს მიდამოს. მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს, მეჩაიეებს თუმცა ამინდი არ ანებივრებდათ, ამ ფართობის თითოეულ ჰექტარზე 12 ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მიიღეს. რგოლმა გეგმის გადამეტებით 120 ტონა „მწვანე ოქრო" მისცა ქვეყანას.

როგორ გახდა ეწერი მიწა ასე ნაყოფიერი? ეკალ-ბარდისაგან იგი თავის დროზე, გულმოდგინედ გაწმინდეს, ღრმად დაპლანტაჟეს და გააფხვიერეს, ორგანული და მინერალური სასუქებით გაანოყიერეს, ჩაის უხვმოსავლიანი სელექციური ჯიშები დათესეს. ამჟამადაც ყველაფერს აკეთებენ, რომ მიწა არ გამოიფიტოს. კარტოგრამები შეადგინეს და მის მიხედვით კვლავაც სისტემატურად შეაქვთ სასუქები. დიდ უპირატესობას ანიჭებენ ტორფსა და ნაკელს, რომლებიც მიწას შედარებით ხანგრძლივად ანოყიერებს.

ახლა მზიური ქარდავას რგოლის მოკრეფილ ჩაის ფოთლის ხარისხს არ იკითხავთ? 1986 წელს მისი 72 პროცენტი ნაზი ფრაქციისა იყო. როცა ამ მაჩვენებელს უბის წიგნაკში ვიწერდი, გაკვირვება ვერ დავმალე, მზიური ქარდავამ შემატყო და მითხრა:

— მე არ ვეთანხმები იმათ, ვინც ამტკიცებს, თითქოს მანქანით მოკრეფილი ჩაის ფოთლის ხარისხი ჩამოუვარდებოდეს ხელით მოკრეფილისას. მხოლოდ საჭიროა პლანტაციების დროული დამუშავება, რათა ჩაის მწვანე დუყებს არ შეყვეს სხვა რამ, განსაკუთრებით გვიმრა, რომელიც ჩვენში ძლიერ არის გავრცელებული. არ უნდა დავუშვათ ფოთლის გაუხეშება. ზოგიერთი მექანიზატორი და მეჩაიე ბოლო წლებში სეზონზე მხოლოდ სამჯერ შედის ერთიდაიგივე ჩაის პლანტაციაში ფოთლის საკრეფად. ზოგიერთი მეჩაიე ნამგლით, ცელით არის „შეიარაღებული", არაფერს დაგიდევს, მხოლოდ გეგმა შეასრულოს, მოკრიფოს, რაც შეიძლება მეტი და „გრძელი მანეთი" გამოიმუშაოს. ისინი არც ეროვნულ ღირსებას უფრთხილდებიან. მე და ჩემი რგოლის წევრებს სეზონში თორმეტჯერ მაინც გვიხდება ერთსა და იგივე ნაკვეთში ფოთლის კრეფა. უხეში დუყები არც გვხვდება და, ცხადია, არც იკრიფება. ამ ბოლო დროს ჩაის საკრეფ მანქანას ზოგიერთმა ვაიმექანიზატორმა რეზინის „თითებიც" კი მოხსნა და მას კრეფაზე კი არა, ჭრაზე ამუშავებს. ასეთ სიტუაციაში რომელ ხარისხზე შეიძლება ლაპარაკი. უხარისხო ნედლეულისაგან კი პროდუქციაც ასეთივე მიიღება.

წარმატებების მიღწევაში ნოვატორ მექანიზატორს დიდად ეხმარება თეორიული ცოდნა. მზიური ქარდავამ წარმოებისგან მოუწყვეტლივ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი დაამთავრა. სწავლული აგრონომის დიპლომის მიღების უმალ იგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელებმა იხმეს და უთხრეს:

გეყო ფიზიკურად შრომა, ამიერიდან კოლმეურნეობაში აგრონომად იმუშავე, ეს შენ უკვე დაიმსახურეო. შემოთავაზებულზე მზიური ქარდავამ მადლობა გულწრფელად გადაიხადა და დასძინა: ჩემს საყვარელ პროფესიას ვერ ვუღალატებ, თანაც აქ უფრო საჭირო ვარო. ამ ამბავმა ყველა გააკვირვა და გაახარა.

მზიური ქარდავას ამ გაზაფხულზე ჩაის პლანტაციებში შევხვდი. იგი ბუჩქებს სხლავდა და ფუმიგაციას უტარებდა, ხოლო მიწას ფოსფოროვანი სასუქით ანოყიერებდა. შორიახლოს მისი რგოლის წევრები მუშაობდნენ. ხუთწლედის მეორე წლის გეგმებზე შევეკითხეთ:

— რგოლის თითოეული წევრი აღფრთოვანებულია პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ვვალდებულეთ გეგმის ზევით 150 ტონა ნაზი ფრაქციის ფოთოლი ვაწარმოოთ, რომლისგანაც საუკეთესო პროდუქცია მიიღება. პირადად მე გეგმის გადამეტებით 60 ტონა ნედლეულს მოვკრეფ. ეს იქნება ძვირფასი ნობათი დიდი ოქტომბრის 70 წლისთავისათვის.

წალენჯიხის რაიონის სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობაში ამჟამად თექვსმეტი „საქართველო" მუშაობს. მათ საჭეს ამდენივე სახელოვანი ადამიანი უზის, რომელთა შორის ქალი მხოლოდ მზიური ქარდავაა. ამიტომ შეარქვეს მას თხუთმეტი ძმის ერთი და.

**დავით ბიწაძე**

## მონატრება

არც ნაკადული,
ჩანჩქერების ლამაზი ვარდნა,
არც ვარდობისთვე, შროშანების ფიფქების ბარდნა,
ველი ალაზნის, ეგზომ ლამაზი,
არ შენატრება...

არც ყვარლის მთები,
გაზაფხულზე ტირიფის თმები,
სიმღერის ხმები, სატრფოს თვალთა შემონათება...
დამტოვა დედამ... არაფერი არ მენატრება.

დგება ვერხვების ჩუმ-ჩუმ სინაზედ
დედის ჩურჩული ყოველ დილაზე.
და როს ჰანგები მოვლენ მნათებად
დედის „ნანინა" მომენატრება!

დედის ჭაღარა, დედის ნუგეში
გულაძგერებულს მიძევს უბეში,
როგორც სანთელი, მარად მჭირდება:
მადლობა დედავ! დედავ, დიდება!

**ლეილა თარალაშვილი,**
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რენატე აპიცი

# მე არ ვიქნები კალვაიტი



მხატვარი კარლო ფაჩულია

პარასკევს, დედაჩემის ქორწილის დღეს ცამეტი რიცხვი იყო. ყველამ თქვა, ეს კარგად არის მოფიქრებული, ამან ბედნიერება უნდა მოიტანოხო, თუმცა ვერავინ ამიხსნა, რატომ მაინცდამაინც ცამეტი რიცხვი მოიტანდა ბედნიერებას.

ქორწილი ხუთშაბათ საღამოს დაინიშნა. ხუთ საათზე დედაჩემი ქალთა სალონიდან თმის ახალი ფერით დაბრუნდა, მე ვიტყოდი, — ვარდისფერით. მან სარკეში ჩაიხედა, შემდეგ სიმღერა წამოიწყო. თან ტრიალებდა, თითქოს დისკოში ცეკვავდა. ისეთი კომიკური ჩანდა, რომ სიცილი ამიტყდა. შემდეგ ხელი გადამხვია, ეს კი ცუდად მაქვს დაცდილი. ამ დროს გაუთავებელი დარიგებები და ჭკუის სწავლება იწყებოდა, მაგრამ ამჯერად ეს არ მოხდა:

— დამთავრდა ჩვენი „განმარტოება“. ახლა ჩვენ სულ სხვანაირ, ახალ ცხოვრებას დავიწყებთ, — მითხრა დედამ. ამიერიდან ჰაინცი ჩვენთან იცხოვრებსო. თუმცა კარგა ხანია ჰაინცი ჩვენთან ცხოვრობს. მე მას ოთახი დავუთმე, რომელიც წინათ მამაჩემს ეკუთვნოდა. ახლა ნახევარი ოთახი დამრჩა. ფართობის ნაკლებობა მოიმიზეზეს და ჩემი „ელექტრორკინიგზა“ დაშალეს. ამის შემდეგ ჰაინცს ვეღარ ვიტან, თუმცა, ეტყობა, არც მას ვეპრიანები, ის მხოლოდ დედას ელაპარაკება.

ჰაინცისადმი ჩემი ალმაცერი ცქერა დედას არ მოსწონს, მიმტკიცებს, მხოლოდ შენი მიზეზით დავქორწინდითო, შენ რომ რიგიანი ოჯახური მყუდროება გქონდესო. მე კი მგონია, რომ სანამ ჰაინცი ჩვენთან მოვიდოდა, უფრო კარგად იყო ყველაფერი, ვიდრე ახლაა. წინათ დედაჩემს სახლის დალაგებაში ვეხმარებოდი, თეფშებსაც ვურეცხავდი, ახლა კი არა. ჰაინციც ხომ აჭუჭყიანებს თეფშებს! იმის მაგივრად, რომ დედას მიეხმაროს, ზის და ტელევიზორს უყურებს.

საღამოს ჰაინცმა თავისი მეგობრები მოიყვანა. მათ დედას მიულოცეს, მერე შემოსასვლელში თეფშები დაალაგეს. როცა მეც თეფშების მტვრევა დავიწყე, დედამ თვალები დამიბრიალა. თეფშების მტვრევას რომ მორჩნენ, ჰაინცი დედას მოეხვია და აკოცა. ამას მხიარული შეძახილები და ტაში მოჰყვა. შემდეგ მათ კონიაკის სმა დაიწყეს, თან მოდურ სიმღერას უსმენდნენ. მე კი რადიო ჩავრთე და დიდხანს არ დამიძინია.

დილით ყველანი მხიარულ გუნებაზე იყვნენ, გალი დეიდაც, რომელიც ღამით ჩვენთან დარჩა. საუზმის შემდეგ მე გამოვეწყვე. ჰაინცი თაიგულის საყიდლად წავიდა. დედა თავის ოთახში ირთვებოდა. როცა გამოვიდა, ძალიან მომხიბლავი მეჩვენა. წითელი კაბა და ნაჩვრეტებიანი ქუდი ძალიან უხდებოდა. ჰაინცი თეთრი მიხაკებით დაბრუნდა, მას ეგონა, რომ დედა თეთრ კაბას ჩაიცვამდა. დედამ უპასუხა, თეთრი სამოსი მხოლოდ პირველ ქორწინებას შვენისო. გალი დეიდამ დასძინა, მას მუქი იისფერი უფრო მოუხდებაო. ჰაინცმა მას უკმაყოფილოდ შეხედა. მგონი მას გალი დეიდა არ უნდა უყვარდეს.

მმაჩის ბიუროში საოცარი სისუფთავე სუფევდა. მაგნიტოფონი სასიამოვნო მუსიკას უკრავდა. ყველანი იცინოდნენ. მწვანეკაბიანმა ქალმა ლაპარაკი დაიწყო სიყვარულსა და ერთგულებაზე, შემდეგ დედამ და ჰაინცმა რაღაც ქაღალდზე ხელი მოაწერეს. საქორწინო ბეჭდები არ გაუცვლიათ, დედამ თავისი გაიკეთა, იმან კი თავისი. მათ უცხო ქალის წინაშე ერთმანეთს აკოცეს, ახლა დედაჩემი ჰაინცის გვარზე იწერება, ისიც კალვაიტია, მე ბრიომელი ვარ, ისევ მამაჩემის გვარისა. როცა გამოვდიოდით, ჰაინცმა მითხრა — ახლა ჩვენ ერთი ოჯახი გავხდით, ამიტომ მამა უნდა დამიძახოო. მე კი მგონია, რომ ჩვენ სულაც არა ვართ ერთი ოჯახის წევრები, ის ხომ მხოლოდ დედაჩემზე დაქორწინდა.

როცა შინ დავბრუნდით, ბებია და პაპა იქ დაგვხვდნენ. ისინი კიბეზე ისხდნენ და გვიცდიდნენ. ბებიას ხელში თაიგული ეჭირა, ორივენი ტიროდნენ. მათ დედას და ჰაინცს მიულოცეს.

სადილის შემდეგ უფროსებმა ღვინის სმა დაიწყეს. შემდეგ დედას და ჰაინცის მეგობრებმა და ნაცნობებმა დაიწყეს მოსვლა საჩუქრებითა და თაიგულებით. დედას კოლეგებმა ჩემზე ჰკითხეს, სად უნდა იცხოვრონხო, თან ურჩიეს, რომ გვარი შეუცვალეო, მაგრამ ამაზე მამაჩემის თანხმობაა საჭირო. არ მინდა ახალი გვარი მეთქი, — ვიყვირე გაბრაზებულმა. ყველას გაეცინა: არაფერია, პატარავ, შეეჩვევიო — დამამშვიდეს.

ყავის შემდეგ, როცა მათ ლიქიორისა და ღვინის სმა დაიწყეს, დრო ვიხელთე და მამაჩემთან გავიქეცი. ბედად, მამა შინ დამხვდა, სამუშაოდან ახალმოსული იყო. მას ყველაფერი მოვუყევი, ვუთხარი, ისევ ბრიომელად მინდა დავრჩე და არ მისცე თანხმობა, რომ გვარი შემიცვალონ მეთქი. მან მითხრა. ამას ყველაფერს მოფიქრება სჭირდებაო, მეც მინდა ხელმეორედ დაქორწინება და ისეთივე პრობლემები მაწუხებს, როგორიც შენო. ჩვენს კლასში ერთი ბიჭია, რომელსაც უკვე მეხამედ შეუცვალეს გვარი.

როცა შინ დავბრუნდი, ჰაინცმა ლანძღვა დამიწყო. მას ეგონა, რომ სახლიდან გავიპარე და მითხრა — სხვა დროს ასეთი რამეებისათვის ქეჩოში მოგხვდებაო, ახლა მე უკვე მაქვს ამის იურიდიული უფლებაო, — დაუმატა ბოლოს. ეჰ, უმჯობესია ჰაინცს გზიდან ჩამოვეცალო. დედა ჯერ არაფერს ამბობს. ქორწინება, ჩემი აზრით, ისეთი რამეა, რაც მხოლოდ უფროსებს ესმით.

გერმანულიდან თარგმნა ნ. ქლენტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რა სტიქია მოერევა



სრული სიმშვიდე სუფევდა სვანეთის მთებსა და სოფლებში, როცა ნადია ჯაფარიძე ზამთრის არდადეგებზე თბილისში ეწვია შვილებს. პაატა და ნარგიზა უკეთეს სტუმარს ვერც ინატრებდნენ. მოსიყვარულე დედაც შვილებთან სიახლოვით ხარობდა, თან თვალებს მკურნალობდა. მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და საქართველოს მთები და მაღალადგილიანი სოფლები თოვლის სქელმა, მეტად მძიმე საბანმა დაფარა. არნახულმა, არგაგონილმა თოვლიანობამ გაარცა თოვლით განებივრებული სვანები.

მშვიდმა, ბუნებით აუჩქარებელმა ქალმა სიმშვიდე დაკარგა. იცის, მან, სვანეთის მთებში აღზრდილმა გეოგრაფიის მასწავლებელმა, რომ ოთხი-ხუთი მეტრი სისქის თოვლი დიდხანს ვერ შეიმაგრებს თავს ციცაბო ფერდობებზე და კლდეებზე. სულ მცირე „წაქეზება“ კმარა, რომ ხევისკენ ქნას პირი.

— არა, მე ახლა იქ უნდა ვიყო, იქ, ჩემ ხალხთან ახლოს, — უთხრა შვილებს ქალბატონმა ნადიამ.

— დედა!.. — სამოცდათორმეტი წლის ქალი შეაჩერებ ზვავებს? — ეუბნებოდა დედას შეწუხებული ვაჟიშვილი; ვერც ქალიშვილის მუდარამ იმოქმედა დედის ნებაზე.

— ჩემო კარგო შვილებო! თქვენ ისევე ვერ დამაკავებთ ახლა აქ. როგორც მე — იმ დაუნდობელ ზვავებს მთებზე. მოსალოდნელი ძნელბედობის ჟამს მინდა ჩემ ხალხთან ახლოს ვიყო, მისი ჭირ-ვარამი გავიზიარო.

ნადიამ თავისი გაიტანა. ვაჟმა ქუთაისამდე ჩააცილა დედა.

... წარსულში იძირება ვერტმფრენის მომლოდინე ქალი: 1924 წელი... კოჯრის პირველ საბავშვო სახლში სვანეთიდან ჩამოჰყავთ ობოლი ბავშვები... ცხრა წლის ნადიაც მათთან არის. 1934 წელი, პედაგოგიური ტექნიკუმი, რომელსაც წარჩინების ატესტატით ამთავრებს. მესტიაში დაბრუნება. პირველი ამაღელვებელი შეხვედრა მშობლიურ მთებთან და ბავშვებთან. 1936—1940 წლები—ქუთაისის პედინსტიტუტში სწავლის პერიოდი, სადაც კომკავშირული სტიპენდია ენიშნება... ისევ მესტიაში დაბრუნება. მედლები. სიგელები. გათხოვება. ოჯახი. ხუთი შვილის აღზრდა, თან სკოლა. ხუთი შვილის უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნა... ღირსშესანიშნავი 1982 წელი — საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდების მინიჭება...

... შვიდი დღის ლოდინის შემდეგ ნადია ჯაფარიძე ფქვილით სავსე ტომრებითა და მედიკამენტებით დატვირთული ვერტმფრენის სალონშია. როგორც იქნა, გამოჩნდა მესტიაც, ალაგ-ალაგ სახურავებამდე თოვლში ჩაფლული სახლებით, თოვლით დაფარული ტელეგრაფის ბოძებით. და აი, თავისიანებთან შეხვედრის სიხარული. კოლეგები, ბავშვები... უმალ შეიგრძნო ნადიამ, რომ მართალი იყო: რომ ძალა და მხნეობა შემატა ახლობლებს მისმა ჩამოსვლამ. ეს კი ბევრს ნიშნავს, როცა წინ საშიშროება გელის.

ნადია მასწავლებელი ჩამოსულაო, — ერთმანეთს გადასცემდნენ ბავშვები ლენჯერში. ნადია მასწავლებელი კი გზიდანვე ახალი გაკვეთილისათვის ემზადებოდა. მისი არცერთი გაკვეთილი არა ჰგავს ერთმანეთს. თითოეულში რაღაც განსხვავებულს, ახალს აქსოვს. ამიტომაა მასწავლებელიც ბავშვებისათვის ასე სახურველი და ახლობელი.

თამარ კონჯარია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოჯახის შთამომავალი



ელისაბედ ჩერქეზიშვილი

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ეკატერინე ვაჩნაძე გახლავთ ქართული სცენის ბრწყინვალე ოსტატის ელისაბედ ჩერქეზიშვილის ოჯახში აღზრდილი (ელისაბედის უშვილო ქალიშვილმა ნინო მაჩაბელმა თავისი მულის, სოფიო ანდრონიკაშვილისა და გიორგი ვაჩნაძის 3 წლის გოგონა იშვილა). იგი არის რესპუბლიკის სახალხო არტისტის მერაბ გეგეჭკორის მეუღლე, ცნობილი ავტორი-იუმორისტის გურამ გეგეჭკორის დედა.

მისი გენეალოგიის რთულ ლაბირინთებში ძნელია გზის გაკვლევა, შეცდომა იქნება, ერთი-ორი სიტყვით მაინც არ მოვიხსენიოთ იმ საინტერესო ადამიანების გვარი და სახელი, რომლებიც პატარაობიდანვე გარს ეხვივნენ პატივცემულ ეკატერინეს ჩერქეზიშვილების ცნობილ ოჯახში, დიდი ამაგი დასდეს მისი კეთილშობილური ხასიათის ჩამოყალიბებას, გზა გაუკვალეს მსახიობად კურთხევაში.

ვის არ იხილავდით მაშინ წილკნის (დღევანდელი ლამბაშიძის) ქუჩაზე ელისაბედის ბინაში. მისი განუყრელი მეგობრები იყვნენ: ელო ანდრონიკაშვილი, ნიკო გოცირიძე, ტასო აბაშიძე, ცაცა ამირეჯიბი, შალვა დადიანი, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე და მარჯანიშვილის სახელობის თეატრის იმდროინდელი დასის წევრები. ამ სახლის ფასადს დღეს ორი მემორიალური დაფა ამშვენებს — ერთი ელისაბედს ეკუთვნის, მეორე მის სიძეს, მერაბ გეგეჭკორს.

საინტერესოდ იცხოვრა ელისაბედ ჩერქეზიშვილმა. მისი მეუღლე ნიკო ხიზანიშვილი, „ურბნელის“ ფსევდონიმით ცნობილი, ილია ჭავჭავაძის ახლო მეგობარი ყოფილა, იურიდიული განათლება ოდესაში მიუღია და „ივერიაშიც“ კარგახანს უმუშავია. ელისაბედის მშვენიერ ყელს ამკობდა ილიას ნაჩუქარი გულქანდი. ნიკოს კი ილიასაგან სამახსოვროდ დაბადების დღეზე ბზის კალმისტარი მიუღია, ვინაიდან ლორის მწვადები ჰყვარებია, ლორის გამოსახულებიანი სამელნეც თან დაუყოლებია დიდ პოეტს და ასეთი ლექსიც უძღვნია ექსპრომტად: „შენს სახეს რომ შევხედავ, მაგონდება ყასაბ ლალო, რით ვერ გაძეხ ლორის ჭამით, შენ მსუნაგო ყურუმსალო“ (ეს ექსპონატები და კიდევ სხვა ილიასეული ნივთები ამჟამად ილიას სახლ-მუზეუმის კუთვნილებაა).

ელისაბედის უფროსი ვაჟი შალვა ნათლული გახლდათ ოლღა გურამიშვილისა, მეორე ვაჟი ვახუშტი — მაკო საფაროვასი. ელისაბედი 1948 წელს გარდაიცვალა და დიდუბის პანთეონშია დაკრძალული. ელ. ჩერქეზიშვილი საფრანგეთში სამჯერ ყოფილა ვაჟიშვილის სანახავად, რომელიც ბალეტმაისტერი იყო და დიდხანს ცხოვრობდა პარიზში. რეჟისორ კოწო ანდრონიკაშვილსა და ელისაბედს იქაური საზოგადოება ოლტაცებაში მოუყვანიათ შესანიშნავი „ლეკურით“.

საგულისხმოა, რომ ელისაბედის ქალიშვილს ნინოს პარიზში და ჟენევაში ჰქონია განათლება მიღებული, ჟენევაში ვ. ი. ლენინის ლექციებსაც დასწრებია. ურიგო არ იქნება აქვე მოვიხსენიოთ ეკატერინეს მშობელი დედა სოფიო ანდრონიკაშვილი, სილამაზითა და ქართული კდემით საქვეყნოდ განთქმული დარბაისელი მანდილოსანი, რომელსაც სამეჯლისო ცეკვებში პრიზიც კი ჰქონია მიღებული, ხოლო დიდედა თებრო, გრიგოლ ორბელიანს ერთ-ერთ თავის ნაწარმოებში ჰყავს მოხსენიებული: იგი ალექსანდრე ჭავჭავაძის სალონის მოყვარულთ თარზე დაკვრით და მშვენიერი ტემბრის ხავერდოვანი ხმით ატკბობდა თურმე. ეკატერინეს მსახიობური ნიჭის გამობრწყინებაში ლიზა ბებოს (როგორც ელისაბედს ოჯახში უწოდებდნენ) დიდი ღვაწლი მიუძღვის, მან დამოძღვრა საკუთარი ლეჩაქით საყვარელი ერთადერთი შვილიშვილი ქართულ სცენაზე (სამწუხაროდ, სამი შვილისგან ნამდვილი მემკვიდრე არ დარჩენია — ეკატერინე ითვლება მის კანონიერ შთამომავლად, ამიტომ ელისაბედის მთელი საგვარეულო ქონება, ნივთები და ძვირფასი არქივი ეკატერინემ უყოყმანოდ გადასცა თეატრალურ მუზეუმს).

1942 წელს თბილისს ეწვია მოსკოვის სამხატვრო თეატრის დასი: ნემიროვიჩ-დანჩენკო, კაჩალოვი, თარხანოვი, მასალიტინოვა, კნიპერ ჩეხოვა. მაშინდელი თეატრალური ინსტიტუტის დირექტორმა აკაკი ხორავამ ისინი გიორგი ტოვსტონოგოვის სპექტაკლ ა. ბრუშტეინის „ცისფერი და ვარდისფერის“ სანახავად მიიწვია. სპექტაკლში სხვა ახალბედა მსახიობებთან ერთად ეკატერინეც მონაწილეობდა. სტუმრები მოიხიბლნენ დამწყები მსახიობების ოსტატობით და სამახსოვრო სურათიც გადაიღეს მათთან.

ეკატერინე თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში დაოსტატდა. მისი პედაგოგები იყვნენ: აკაკი ფალავა, გიორგი ტოვსტონოგოვი, ვახტანგ ბერიძე, მალიკო მრევლიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი, რევაზ ნათაძე, გრ. კიკნაძე და სხვანი. ინსტიტუტის დამთავრებისთანავე რუსთაველის თეატრის დასში ჩაირიცხა, სადაც დღემდე მუშაობს. ალღოიანმა, ნიჭიერმა მსახიობმა იმთავითვე იპოვა თავისი ადგილი თეატრის კოლექტივში, აქ ჩამოყალიბდა, როგორც სახასიათო როლების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უბადლო შემსრულებელი. თუმცა მსახიობი ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდება როგორც მთავარ, ისე მეორეხარისხოვან როლებს — ზოგჯერ ქარაფშუტა ქალიშვილია, ან ძუნწი ვაჭრის ცოლი, ხან გონებაშეზღუდული მეუღლე, მოხერხებული, გაიძვერა მაჭანკალი ან ჩლუნგი ბეჩავი გლეხის ქალია, ხან კიდევ ანგარებიანი, მეშჩანური ხასიათის, ფლიდი, ფუფუნების მოყვარული, ფუქსავატი დედაკაცი. მას აქვს კომიზმისა და ტრაგიზმის შერწყმის საოცარი უნარი. მაყურებელს კარგად ახსოვს მის მიერ განსახიერებული ლიზა — როსტანის „სირანო დე-ბერჟერაკში", სონა — გ. წერეთლის „პირველ ნაბიჯში", ლირსა — პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერში", სონა — გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანში", მარიამი ფუჩიკის „ადამიანებო, იყავით ფხიზლად!", პეპელა — ი. ვაკელის „საქმიან კაცში", მადამ დრაგა — ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორში", კოკონა — კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისაში", თამარი — გ. ქელბაქიანის „ახალგაზრდა მასწავლებელში", კაროჟნა — დ. კლდიაშვილის „შემოდგომის აზნაურებში", გალჩიხა — ოსტროვსკის „უდანაშაულო დამნაშავეებში", მაიკო — სუმბათაშვილის „ღალატში", მაკინე — მ. ელიოზიშვილის „ბებერ მეზურნეებში", ვარა — ო. მამფორიას „მეტეხის ჩრდილში", დიდედა — ცაგარელის „ხანუმაში", მარგალიტა — კარსანიძის „მარად მწვანე ქედებში", მადამ კარპოვნა — კ. ბუაჩიძის პიესაში „ეზოში ავი ძაღლია"... აი, არასრული სია იმ სპექტაკლებისა, რომლებშიც ეკატერინეს შთამბეჭდავი სახეები შეუქმნია. ერთერთ სეზონზე იგი დიდი წარმატებით გამოვიდა ბათუმის თეატრის სამ სპექტაკლში: ვ. გებესკირიას „ქეთევან წამებულში" შეასრულა იათამზეს როლი, „მარტოხელაში" — რუსუდანისა, გოლდონის „სასეირო ოინში" — მარიანასი.

ქალბატონი ეკატერინე დღეს დიდი ინტერესით მუშაობს გამოჩენილ ადამიანთა მონოგრაფიებზე. რამოდენიმე გამოაქვეყნა კიდეც. ბევრი ლონისძიება დაუმშვენებია ასეთ საინტერესო მოგონებებს.

საგულისხმოა ერთი ბარათი, რომელსაც მუდამ თვალცრემლიანი კითხულობს ხოლმე ეკატერინე. ოთარ მამფორიას „მეტეხის ჩრდილში" ეკატერინე ვარას როლს ასრულებდა. სერგო ზაქარიაძე — შაქროსას. ეს იყო 1965 წელს. რატომღაც ბ-ნმა სერგომ სპექტაკლის დამთავრების შემდეგ მოისურვა ჯერ სამახსოვრო სურათი გადაეღოთ ერთად და მერე ასეთი შინაარსის წერილი დაეწერა: „ვარა, ხომ ხედავ, ამ ოქროს ქორწილში როგორ ყოჩაღად გამოვიყურებით, არა? ჩემო კატუშა, გენაცვალე, შენი ნიჭი და კეთილი ადამიანობა არ მოეშალოს მთელ თეატრს და მე კი შენი პარტნიორობა". დასანანია, რომ ეს სურვილი ადრე დასრულდა. სერგო ზაქარიაძე მალე გარდაიცვალა.

**ნანული ბუკია**



პეპელა. ი. ვაკელის „საქმიანი კაცი".



ტასო. როზოვის „ხალისიანი მეგობრები"



ქსენია. გორკის „მდაბიონი"



მადამ დრაგა. ნუშიჩის „ფილოსოფიის დოქტორი"



მ. ჯავახიშვილი. „თეთრი კურდღელი". გადია — ე. ვაჩნაძე, სიდონია — მ. ჯანაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა



# კომუნისტური შრომის საწარმო

60 წლის წინათ გაისმა პირველად საყვირის ხმა აქ, როცა ამუშავდა მრეწველობის ეს პირმშო ორჯონიკიძის რაიონში, მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკა.

დაიძრა მშრომელთა ნაკადი ფაბრიკისაკენ. აქ მოვიდნენ მარელისელი, ლელვნელი, მოლითელი, სალანძილელი და სხვა მახლობელი სოფლების მშრომელები, კაცებთან ერთად ქალებიც.

— თავდაპირველად ფაბრიკა მხოლოდ 75 სკამს უშვებდა, იგონებს შრომის ვეტერანი, ბუღალტერი ვალერია გოგოლაძე. პროდუქციას პრიმიტულად ამზადებდნენ. ფაბრიკაში მასალას ურმით ეზიდებოდნენ... მაგრამ მომავლის რწმენა, ენთუზიაზმი კოლექტივს ძალასა და შრომის ხალისს მატებდა.

და ასე, თავდადებული შრომით, დაბრკოლებათა დაძლევით, ახლის ძიებით მოვიდა ფაბრიკა ამ დღეებამდე, კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო სახელის მოპოვებამდე.

— ახლა ფაბრიკა ათასობით სკამს უშვებს ყოველწლიურად. (სულ ექვსი სახის პროდუქციას ამზადებს). გეგმით ახალი სახეობის პროდუქციის გამოშვებაა გათვალისწინებული, — ამბობს ფაბრიკის დირექტორი თენგიზ გორშკოვი, რომელიც კარგ სპეციალისტად და ჩინებულ ხელმძღვანელად ამ საწარმოში ჩამოყალიბდა.

ფაბრიკაში კარგახანია დამკვიდრდა ტექნიკა, დიდად შემცირდა ხელით შრომა, ამაღლდა წარმოების კულტურა, ინტენსიფიკაცია, პროდუქციის ხარისხი, შრომის ცეცხლი ანთია ყველა საამქროში და დაზგასთან, გადაჭარბებით სრულდება გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. დიდი ყურადღება ექცევა ნედლეულისა და ენერგორესურსების მომჭირნეობასა და ყაირათიანობას, იზოგება ელექტროენერგია, ნედლეული, გამოყენებულია ნარჩენები. შექმნილია 14 კომპლექსური და სპეციალიზებული ბრიგადა. ბრიგადის წევრებს ხელფასის ფონდი საბოლოო შედეგების, მათი შრომის მიხედვით ერიცხებათ, მეტი ყურადღება ექცევა ხარისხს. ბრიგადები ხომ საკუთარი დამღით შრომობენ. მეავეჯეებს შარშან რეკლამაცია არ მიუღიათ.

— პარტიის მოწოდებას გარდაქმნისა და დაჩქარების შესახებ — ფართოდ გამოვეხმაურეთ. სწორედ გარდაქმნის, დაჩქარების, ხარისხის კიდევ უფრო ამაღლებისათვის არის ახლა ჩვენთან გაჩაღებული შრომა, — გვითხრა მთავარმა ინჟინერმა ოთარ ლომსაძემ.

მუშაობაში ფართოდ მონაწილეობენ ქალები, რომლებიც მუშათა ნახევარს შეადგენენ. ისინი ყველა უბანზე არიან და შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

მეოთხედი საუკუნის წინათ მამის კვალზე მოვიდა აქ ლეილა მეგრელიშვილი.

პირველი ნაბიჯები მან ამწყობ-გამლაქავ საამქროში გადადგა, იქ, სადაც სკამის შექმნის პროცესი მთავრდება. საქმეს მან მალე აუღო ალღო და მოწინავეთა რიგებში ჩადგა, გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს, მისი კაიქალობის დასტურია მედალი „შრომითი მამაცობისათვის“. შარშან მის მკერდზე ხალხთა მეგობრობის ორდენიც აკიაფდა. ლეილა საუკეთესო დამრიგებელია. სწორედ მას უმადლიან ხათუნა ლურსმანაშვილი, მანანა ჭაუჭიძე და სხვები, რომ მოწინავეთა რიგებში არიან.

ციალა ბუაჩიძე თითქმის სამი ათეული წელია წარმოებაში შრომობს, საფანერე საამქროში რამდენიმე დაზგას ემსახურება. კომუნისტმა ქალმა გაიმარჯვა კონკურსში „პროფესიაში საუკეთესო“ და ვეტერანი ქალის თეო ორჯონიკიძის სახელობის პრიზი დაიმსახურა. იგი საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის დელეგატი იყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ოჯახურ დინასტიათა სიმრავლე. მესხების ოჯახის ოთხი წევრი ყოველ დილით მიეშურება ფაბრიკისაკენ. სამ მათგანს — რეზო და ნელი მესხებს და მათ ქალიშვილს ქეთევანს ამწყობ-გამლაქავ საამქროში შევხვდით, ირმა კი გამხეხ საამქროშიაო, — გვითხრა ქეთინომ. ხუთი შვილი ჰყავს ნელის. ადვილი არ იყო ახალგაზრდა ქალისათვის ოჯახის, ქმარ-შვილის მოვლა და დაზგაზეც სასახელო შრომა, მაგრამ თადარიგიანმა მშრომელმა ყველა სიძნელე დაძლია, პასუხისმგებლობის მაღალმა გრძნობამ ძალა შემატა. მესხები, რომელთაგან რეზო და ქეთინო კომუნისტები არიან, სანაქებო შრომის ფურცლებს წერენ ფაბრიკის მატიანეში.

ოსტატად რომ გიცნობ, წარმოებისა და შრომის ორგანიზატორი რომ იყო, ეს დიდი ნდობაა. თამარ ჭაუჭიძე ამ ნდობას ორ ათეულ წელზე მეტია ღირსეულად ამართლებს, ცდილობს გამხეხ საამქროში შრომის ნორმალური ატმოსფერო შექმნას, აამაღლოს მუშათა აქტივობა, ამრავლოს შრომითი წარმატებები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქეთინო შარიქაძე



ირმა მესხი



მანანა ჰაუჰიძე

დ. იაკობაშვილის ფოტოები

— ამ საამქროში ყველაზე მეტი მოწინავე ქალია და ყველა ერთ მეგობრულ კოლექტივად არის შეკრული, — ამბობს თამარი.

თამარის ქალიშვილი — მანანა დედის პროფესიას ეზიარა. იგი სკამის რბილ საჯდომებს ამზადებს, მოწინავეა. მექანიკურ განყოფილებაში მეავეჯედ მისი მეუღლე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტარიელ ტაბატაძე მუშაობს.

საფანერე საამქროს მუშა ნაილი ყრუაშვილი, მისი მეუღლე გენადი მაღრაძე და შვილი მაია შრომის საუკეთესო მაგალითებს იძლევიან.

ოჯახურ ტვირთს, ხუთი შვილის აღზრდას ხელი არ შეუშლია კომუნისტ შურა გოგოლაძისათვის მუშაობაში, პირიქით. შვილები ხალისს მატებენ და დედა შპონის დაჭრის გეგმებს მუდამ გადამეტებით ასრულებს. მისი მეუღლე და ორი ქალიშვილი საფანერე საამქროში შრომობენ.

საქმიანობაში ტოლს არავის უდებენ მრავალშვილიანი დედები — ჟუჟუნა ბერაძე, მერი ვეფხვაძე, ელენე ლომსაძე, ეთერ არევაძე, მაძალო კიკნაძე.

ქალები შრომითს საქმიანობასთან ერთად საზოგადოებრივ დავალებასაც პირნათლად ასრულებენ. რაიონული საბჭოს დეპუტატი და სახალხო სასამართლოს მსაჯულია საფანერე საამქროს მუშა ციალა ბერაძე.

ლეილა ტაბატაძეს არა მარტო ფაბრიკაში, რაიონშიც კარგად იცნობენ. საფანერე საამქროს მოწინავე მრავალდაზგოსანი მუშა, კომუნისტური შრომის დამკვრელი, შარშან მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დააჯილდოვეს. იგი საამქროს პარტიული ორგანიზაციის მდივანი და პარტიის რაიკომის წევრია. როგორც დელეგატმა, მონაწილეობა მიიღო საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის მუშაობაში.

მოწინავეთა რიგებს ამშვენებს ნათელა მესხი, სოფო მაღრაძე, ქეთინო შარიქაძე, მაია ტორაძე, გუგული შარიქაძე, ნინუცა ქურდაძე.

სხვებიც ასრულებენ ფაბრიკაში პასუხსაგებ საქმეს. მათგან აღსანიშნავია ბუღალტრები ვალერია გოგოლაძე, ნინელი კიკნაძე, მოანგარიშე ვერა მაღრაძე.

უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ქალთა შრომის პირობები. საამქროებში მოეწყო ვენტილაცია, ქალთა ჰიგიენის ოთახი, მლაქავებს ყოველდღიურად ეძლევათ რძე, ყოველწლიურად არემონტებენ მუშათა ბინებს. თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე მოაწყვეს ბაგა-ბაღი, სადაც პატარები საიმედოდ იზრდებიან.

მუშებს ემსახურება საავადმყოფო-ამბულატორია, აფთიაქი. ექიმ ნაზი კაპანაძის და პროვიზორ ნათელა ებანოიძის გულისხმიერებითა და ყურადღებით დიდად კმაყოფილი არიან მეავეჯეები. მუშა-ქალთა პროფილაქტიკურ გასინჯვებს რეგულარულად აწყობს რაისაავადმყოფოს ქალთა კონსულტაცია.

— მაგრამ მუშათა კომიტეტს, — ამბობს მისი თავმჯდომარე, ფაბრიკის უფროსი ინჟინერ-ნორმადარი ეთერ ვეფხვაძე, — ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი. სასადილოში არ მზადდება მრავალფეროვანი კერძები, იშვიათად არის ხილი, ბოსტნეული. კარგი იქნება თუ ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ქალებისათვის ზაფხულობით მეტი რაოდენობით გამოყოფს სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, განსაკუთრებით დედათა და ბავშვთა სანატორიუმების საგზურებს. გაუმჯობესებას საჭიროებს სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობა.

როგორც აღვნიშნეთ, პარტიის მოწოდებას გარდაქმნის შესახებ აქ ფართოდ გამოეხმაურნენ, მაგრამ ამჟამად არსებულ პირობებში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელია, რადგან დაზგა-დანადგარები მოძველებულია, სამუშაო კორპუსები ვეღარ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ეს ყველაფერი კი უარყოფითად მოქმედებს ხარისხზე. ზოგჯერ მომხმარებელი უკმაყოფილოა მარელისური სკამით.

— 1987 წლისათვის გათვალისწინებულია წარმოების მთლიანი რეკონსტრუქცია. იგი იქნება თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობებით აღჭურვილი საწარმო, გაიზრდება პროდუქციის ოდენობა, გამრავალფეროვნდება ასორტიმენტი, ამაღლდება პროდუქციის ხარისხი, გაიზრდება შრომის ნაყოფიერება, აიგება კულტურის სახლი, 50 ბინიანი საცხოვრებელი სახლი, სკოლის ტიპიური შენობა. მეავეჯეებს ექნებათ სათანადო პირობები ნორმალური შრომისა და დასვენებისათვის, — ამბობს დირექტორი.

რეკონსტრუქცია კი უკვე დაწყებულია, მალე დამთავრდება მთავარი კორპუსის მშენებლობა, მონტაჟდება ახალი ქვაბი, საშრობები...

— სახელმწიფო მიღებისათვის სათანადო მუშაობას ეწევა პარტბიურო, — გვამცნობს მისი მდივანი გია მაღრაძე. მუშა-მოსამსახურეებს შორის ამ საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა. პარტბიურომ დაამტკიცა სახელმწიფო მიღების იდეოლოგიური უზრუნველყოფის ღონისძიებათა გეგმა.

დიდია მომავლის პერსპექტივები, დიდია პრობლემები, გადაუჭრელი საკითხები. ზოგჯერ მომწოდებელი ორგანიზაციები დროულად ვერ აწვდიან მასალას ფაბრიკას. ასე იყო მაგალითად, შარშან, როცა სვერდლოვსკელებმა არყის მორის მოწოდება დიდი ხნით დააგვიანეს. დაბრკოლება კი იწვევს იერიშობანას, წუნს. ისიც უნდა ითქვას, რომ ყველა მეავეჯე კეთილსინდისიერად არ მუშაობს, ზოგი უხარისხოდ ჩარხავს დეტალს, ზოგი უგულოდ ხეხავს, ლაქავს, აწყობს... ჰოდა, ასე მიდის უხარისხო სკამი მომხმარებლამდე... აი ეს არის სატკივარი, საგანგაშო, ყურადსაღები!

მაგრამ დიდია რწმენა პრობლემების გადაჭრის, პერსპექტივების განხორციელების, მუშაობის გარდაქმნის, იმისა, რომ მომხმარებელი იტყვის: — კარგია, საიმედოა, გამძლეა!

ქეთევან სახვაძე

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამდე ქალი ყველაზე უფრო დაჩაგრული, ყოველგვარ უფლებას მოკლებული პიროვნება იყო. განსაკუთრებით მძიმე, არაადამიანურ პირობებში იმყოფებოდა აფხაზი ქალი. და როცა აფხაზეთის მშრომელებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლა გააჩაღეს, ქალები ჩაებნენ რევოლუციურ მოძრაობაში. ისინი თავიანთი ძმების, მამების და ქმრების გვერდით იდგნენ და თავს არ იზოგავდნენ მიზნის მიღწევისათვის. მათ შორის იყვნენ მარიამ ჯიქირბა, ანდრიუშკა კობახია, მარიამ, აგრაფინა და ნატალია კუხალეიშვილები, მარგარიტა გაბუნია, ელენე ნადარეიშვილი, ანა სოლოვიევა და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი უშუალოდ მონაწილეობდა შეიარაღებულ აჯანყებაში.

ამ პერიოდში, განსაკუთრებით ქალისათვის, ძალზე ძნელი და სახიფათო იყო რევოლუციური მუშაობა. მარიამ ჯიქირბა 15-16 წლის ასაკიდან ერთ-ერთი პირველი ებმება არალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში, კავშირს ამყარებს ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან. 1917 წლის ბოლოს გუდაუთაში მოქმედი პარტიზანული რაზმის „კიარაზის" აქტიური წევრი ხდება და პ. ლეიბას, კ. გუბაზის, გ. აგრბას, შ. ენიკსა და სხვებთან ერთად პირნათლად ასრულებს მრავალ სახიფათო და მეტად მნიშვნელოვან დავალებას. რევოლუციონერ გლეხთა მებრძოლი პარტიზანული რაზმი „კიარაზი" ნ. ლაკობას ხელმძღვანელობით 1917 წელს სოფელ ლიხნში შეიქმნა. რაზმი გლეხთა რევოლუციურ ძალებს აერთიანებდა და არსებული წყობილების წინააღმდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის იბრძოდა.

„კიარაზი" მრავალრიცხოვანი ინტერნაციონალური ორგანიზაცია იყო. იგი აერთიანებდა აფხაზებს, ქართველებს, რუსებს, სომხებს, ლაზებს, ამ მხარეში მცხოვრებ ყველა ერის წარმომადგენლებს და დიდ როლს ასრულებდა ხალხთა მეგობრობის განმტკიცებაში.

„კიარაზის" აქტიური მონაწილეობით 1918 წლის თებერვალში დიდი ბრძოლები გაიმართა მენშევიკების წინააღმდეგ გაგრასა, გუდაუთასა და სოხუმში. შეიარაღებული აჯანყების მოწყობის ეს გეგმა მ. ორახელაშვილის, ე. ეშბას, ნ. ლაკობას და მ. ათარბეკოვის მონაწილეობით ბათუმის თათბირზე შემუშავდა. აჯანყება წარმატებით დამთავრდა და 8 აპრილს სოხუმში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. მართალია, მას 42 დღის მეტი არ უარსებია, მენშევიკების გაძლიერებულმა რაზმებმა ისევ აღადგინეს ძველი რეჟიმი, მაგრამ ამ ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ხალხთა დარაზმვისათვის. საბრძოლო ოპერაციებში მარიამ ჯიქირბაც იარაღით ხელში მონაწილეობდა. საბჭოთა ხელისუფლების დროებით დამარცხების შემდეგ მენშევიკებმა სასტიკი ტერორი გააჩაღეს და „კიარაზის" რაზმები შეავიწროეს.

რევოლუციონერი ქალები მარიამთან ერთად ავრცელებდნენ პროკლამაციებსა და არალეგალურ ლიტერატურას, საგანგებოდ მალავდნენ იარაღს და სხვა ასაფეთქებელ ნივთიერებებს.

1919 წელს ლაკობას დავალებით მარიამ ჯიქირბა ძმასთან ხ. ჯიქირბასთან ერთად მეტად საპასუხისმგებლო პარტიულ დავალებებს ასრულებდა, ჩადიოდა ბათუმში და იქ მცხოვრებ იატაკქვეშელებისათვის (ნ. ლაკობა, კ. ინალ-იფა, მ. თუმანოვი, ვ. ლაკობა და სხვები) არალეგალური ლიტერატურა, ფული და საჭირო დოკუმენტები ჩაჰქონდა.

აფხაზეთის რევოლუციონერები კვლავ ემზადებოდნენ შემდგომი ბრძოლებისათვის. 1920 წელს გუდაუთაში უკვე „კიარაზის" 14 მებრძოლი რაზმი მოქმედებდა, რომელიც 600-მდე კაცს აერთიანებდა. 1921 წლის დასაწყისიდან წითელი არმიის დახმარებით აფხაზეთში შეიარაღებული ბრძოლები გაიშალა, რაც 1921 წლის 4 მარტს სოხუმში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დამთავრდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით ხალხთა ცხოვრებაში სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო. პარტიული ორგანიზაციები სხვა მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტასთან ერთად ქალთა პრობლემების გადაჭრასაც შეუდგნენ.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მარიამ ჯიქირბა აქტიურად ებმება სოციალისტურ მშენებლობაში. 1922-25 წლებში იგი გაგრის მილიციის ორგანოებში მუშაობდა, შემდეგ აფხაზეთის კურორტსამმართველოში გადმოიყვანეს. 1932 წელს, როგორც საუკეთესო საზოგადოებრივი მუშაკი, მოსკოვში, აღმოსავლეთის ხალხთა კომუნისტურ უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნეს, რომელიც 1934 წელს წარმატებით დაამთავრა. 1939-1945 წლებში იგი წითელი ჯვრის საოლქო კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

კომუნისტი მ. ჯიქირბა 1962 წლამდე მოღვაწეობდა და ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას — აქტიურად მონაწილეობდა პარტიის საქალაქო ორგანიზაციის მუშაობაში. წლების მანძილზე აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი იყო. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიღებული აქვს რამდენიმე საპატიო სიგელი.

1978 წელს 76 წლის ასაკში შეწყდა მარიამ ჯიქირბას სიცოცხლე. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ მათ თავდადებას, ვინც გმირულად იბრძოდა თავისუფლებისა და სოციალური სამართლიანობისათვის, ვისი თავგანწირვაც აღაფრთოვანებს თაობებს. ერთ-ერთი მათგანი იყო მარიამ ჯიქირბაც.

დომნა გოგატიშვილი,
აფხაზეთის გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სკკპ ისტორიის კათედრის დოცენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა






# ჩვილ ბავშვთა კვება

მსოფლიოს პედიატრების კვლევის საგანია ისეთი ხელოვნური საკვების შექმნა, რომელიც თავისი შემადგენლობით მიუახლოვდება ქალის რძეს, ან შეცვლის მას. მაგრამ დღემდე ქალის რძის სრულყოფილი შემცვლელი არაფერი შექმნილა. ხელოვნური საკვების ნაირსახეობა ყველა ქვეყანაში დამზადებულია ძირითადად ძროხის რძისაგან. მისი ცილოვანი შემადგენლობის სათანადო ტექნოლოგიური დამუშავებისა და გამდიდრების გზით (ვიტამინებით, მინერალური ნივთიერებებით, ფერმენტებით, ლიზოციმით, ბიფიდუმით). ასეთ ნარევებს ადაპტირებულს უწოდებენ. სხვადასხვა ქვეყანაში დამზადებული რძის მშრალი პროდუქტებიდან ცნობილია — მალიუტკა, მალიში, დეტოლაქტი, ნოვოლაქტი 1, ნოვოლაქტი 2, ბიფილინი (რსფსრ), ვიტალაქტი, ვიტალაქტი „დმ“ (უკრაინის სსრ), ბიოლაქტი, ბიოლაქტი 2, (ყირგიზეთის სსრ), ბალდირგანი, ბალბობეკი (ყაზახეთის სსრ), სიმილაკი (აშშ) ბონა, პილტი, ბები-მილექსი (ფინეთი), ბრემილი (გერმანია), კომპლანი (ინგლისი), ლინოლაკი, რობოლაქტი (უნგრეთი), მილკოტალი, მილკფორმულა (საფრანგეთი), ბები-მიქსი, ფრუტოლინი (იუგოსლავია).

აღნიშნული რძის მშრალი ნარევებიდან დედის რძის უქონლობის ან უკმარისობის დროს ბავშვის დაბადებიდანვე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მალიუტკა, დეტოლაქტი, ნოვოლაქტი, ბიფილინი, რობოლაქტი, ბები-მილექსი, სიმილაკი, ლინოლაკი, ბონა, პილტი, ბალბობეკი, ხოლო ზოგიერთი გამოიყენება (მოგვიანებით) — 2 თვიდან — მალიში, ნოვოლაქტი, ბები-მიქსი, ფრუტოლინო, ნოვოლაქტი 2 და კომპლანი.

ზემოთჩამოთვლილი პროდუქტების ყველა სახეობა არ შემოაქვს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, რადგან ჩვენი საბჭოური ნარევებიც საკმაოდ კარგი შედეგებით არის აპრობირებული და გამოყენებული ბავშვთა კვებაში.

დასახელებული ადაპტირებული პროდუქტები ტკბილ ნარევებს მიეკუთვნება და ზოგჯერ ბავშვის ორგანიზმი ვერ იტანს, ამიტომ მათი დანიშვნისას ბავშვის ინდივიდუალური მონაცემებიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რათა არ იყოს ალერგიის, ექსუდაციური დიათეზის, კუჭნაწლავის აშლილობის და ყიფლიბანდის არადროული დახურვის შემთხვევები.

რძის მშრალი ნარევების გამოყენება შეიძლება წლის ყოველ დროს, ნებისმიერი ჰავის პირობებში, მხოლოდ მხედველობაში მიიღება მისი შენახვის ვადა და ტემპერატურა.

ცხელი ქვეყნების ბავშვთათვის მოსახლეობა ტკბილ ნარევებთან ერთად იყენებს მშრალ, შემჟავებულ ადაპტირებულ პროდუქტებს ან თხევადი რძის მჟავე პროდუქტს. რძისმჟავა ადაპტირებული ნარევები შექმნილია თხევადი და მშრალი სახით: ბიოლაქტი, ბიოლაქტი-2 — აციდოფილური მალიუტკა, ბიფილაქტი, ბიფილინი, მალიში (რსფსრ), ბალბობეკი, ბალდირგანი (ყაზახეთის სსრ), ნარინე (სომხეთის სსრ), ფერმენტირებული მაწონი, ნარევი ივერია (საქართველოს სსრ).

რძის მშრალი ნარევის გამოყენებისას ზოგიერთი მშობელი მეტი რაოდენობით იღებს ფხვნილს, რაც განაპირობებს მზა საკვებში ინგრედიენტების (ცილების, ცხიმების, ნახშირწყლების, მინერალური მარილების) ჭარბ კონცენტრაციას, რის შედეგადაც ვითარდება ბავშვის სიმსუქნე. სხეულის მასის სიჭარბე კი ჩვილ ბავშვებში ხელს უწყობს სიმსუქნესთან დაკავშირებული სხვადასხვა დაავადების (დიაბეტი, ნაღველკენჭოვანი, პანკრეატიტი, კოლიტი) განვითარებას. უნდა გვახსოვდეს, რომ არასწორად შენახულ პროდუქტში მრავლდება დაავადების გამომწვევი (დიზენტერია, სალმონელოზი, ენტერიტი და სხვა) მიკრობები; ასეთი პროდუქტის მიღებას კი მოჰყვება ბავშვის დაავადება.

რძის მშრალი ნარევები შეიძლება შერეულ იქნეს დამზადებული პროდუქტის სახით რძის მჟავე ნარევებთან, 1:1 ან 2:1 შეფარდებით; რძის მჟავე პროდუქტები ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის გაუმჯობესებას, გლიკოგენის ჩალაგებას ღვიძლში, საჭმლის მომნელებელი წვენების გამოყოფას, ებრძვის ნაწლავის მავნე მიკროფლორას, ნაწლავის ჩხირს, აძლიერებს „ბ“ ჯგუფის ვიტამინების სინთეზს და თრგუნავს დუღილისა და ლპობის პროცესებს ნაწლავებში.

რძის მჟავე ნარევების თხევადი სახის ასორტიმენტი ფართოა. მათ მიეკუთვნება კეფირი, მაწონი, აციდოფილური რძე (უკრაინის სსრ), ფერმენტირებული მაწონი, ნარევი ივერია (საქართველოს სსრ), ნარინე (სომხეთის სსრ), ბალბობეკი, ბალდირანი (ყაზახეთის სსრ), ბიოლაქტი, ბიოლაქტ-2 (ყირგიზეთის სსრ), ვიტალაქტი (უკრაინის სსრ).

ზემოთაღნიშნული რძის მშრალი ნარევები გამოიყენება ჯანმრთელი და ავადმყოფი ბავშვის საკვებად. მათ უნდა ნიშნავდეს ექიმი-პედიატრი ბავშვის ასაკის, სხეულის მასისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

**ს. ტაბლიაშვილი,**
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი,
რესპუბლიკის მთავარი სპეციალისტი
ბავშვთა კვებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### სასწავლებელი 70 წლისაა

# მარია პერინი

ცნობილ იტალიელ მოცეკვავეს და გამოჩენილ პედაგოგს, მარია იოსების ასულ პერინს დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული საბჭოთა ბალეტის განვითარებაში. იგი დაიბადა 1873 წლის 10 მარტს, ჩრდილოეთ იტალიაში. ჰქონდა რა გამორჩეული ნიჭი ცეკვისა, 10 წლისამ სწავლა დაიწყო ტურინის სახელგანთქმულ სამეფო საბალეტო სკოლაში.

მასწავლებლები და სპეციალისტები დიდ მომავალს უქადდნენ ნიჭიერ გოგონას. მათი ერთობლივი აზრით, „იგი შობილი იყო ცეკვისათვის".

90-იან წლებში იტალიური ბალეტის მრავალი ცნობილი მოღვაწე ი. ტორნაგი, ადელინა და მარია ჯური, — მათ რიცხვში მარია პერინიც, გადმოვიდნენ რუსეთში და ჩადგნენ რუსული ბალეტის სამსახურში.

პირველი დებიუტი საზღვარგარეთ 18 წლის მარია პერინიმ თბილისის სახაზინო თეატრში ჩაატარა. საღამოს პროგრამა შედგებოდა დივერტისმენტისა და ოპერებიდან („ცხოვრება მეფისათვის" და „დემონი"), აღებული ცალკეული საცეკვაო ნომრებისაგან. დირიჟორობდა მ. იპოლიტოვ-ივანოვი. ბენეფიციანტმა განაცვიფრა საზოგადოება თავისი შესრულების ელვარებით.

1897 წლიდან 1907 წლამდე პერინი თბილისის სახაზინო თეატრის პრიმა ბალერინა იყო. მან ქართული ბალეტის ისტორიაში შექმნა მთელი ეპოქა — 1907-1916 წლამდე ეწეოდა საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება გადამწყვეტ ისტორიულ მოვლენად, ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის განვითარების ეტაპად იქცა. ხელოვნება ჩადგა ხალხის კულტურის ინტერესების სამსახურში.

მარია პერინის კერძო სტუდია, ბალეტის ახალგაზრდა, ნიჭიერ ოსტატთა აღზრდის ეს ერთადერთი კერა, გარდაიქმნა სახელმწიფო ოპერის თეატრთან არსებულ სახელმწიფო საბალეტო სკოლად. სახალხო განათლების კომისარიატი დიდ ყურადღებას აქცევს მას. მოსწავლეთა რიცხვმა 200-ს მიაღწია. სკოლის დირექტორად 1919 წლიდან 1935 წლამდე იყო მ. პერინი. შემდგომში ამ სკოლამ თავისი მნიშვნელობით მთელ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავა ლენინგრადისა და მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებლების შემდეგ.

სკოლის მხატვრული დონის ამაღლებისა და სწავლების ახალი, გაუმჯობესებული მეთოდიკის გასაცნობად პერინი ხშირად ეწვეოდა ხოლმე მილანს. 1926 წელს იგი საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატმა უკანასკნელად გაგზავნა მილანსა და პარიზში.

1935 წლიდან 1938 წლამდე მარია პერინი ხელმძღვანელობდა საქართველოს სახალხო განათლების კომისარიატის სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის სახელმწიფო ქორეოგრაფიულ ფილიალს.

პერინი აღსაზრდელებისაგან მოითხოვდა მოძრაობათა გააზრებასა და ჰარმონიულობას, ცეკვის განსულიერებას, გრაციის ემოციურ გამომსახველობას, ხელებისა და კორპუსის მღერადობას.

პერინი გასაოცარი სიზუსტით პოულობდა ყოველი მოსწავლის იმ საუკეთესო და საჭირო თვისებებს, რომელთა გამოყენება და სრულქმნილებამდე, მშვენიერებამდე აყვანაც შესაძლო იყო. მაგალითად, ვახტანგ ჭაბუკიანი პერინს მიაჩნდა განსაკუთრებულ მოვლენად, ისეთ მოცეკვავედ, რომელიც უპასუხებდა საბჭოთა საბალეტო ხელოვნების არსს და რომლის ცეკვაც იმ დროსვე იყო შინაარსიანი, არაჩვეულებრივად პოეტური და ჰეროიკული.

1927 წელს საქართველოს მთელი საზოგადოებრიობა დღესასწაულობდა მარია პერინის შემოქმედებითი მოღვაწეობის 30 წლის იუბილეს. საიუბილეო კომისიაში შედიოდნენ იმდროინდელი ქართული ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი: კ. მარჯანიშვილი, ა. ახმეტელი, დ. არაყიშვილი, ი. ფალიაშვილი, ს. ინაშვილი, ტ. ტაბიძე და სხვანი.

ამ იუბილეს პატივსაცემად თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქორეოგრაფიული სკოლა-სტუდიის მოსწავლენი, აგრეთვე მისი ყოფილი კურსდამთავრებულნი: ი. ბაუერი, ნ. და თ. რამიშვილები, თ. ჭაბუკიანი, ლ. გვარამაძე, ი. და დ. ალექსიძეები, ე. ჩიკვაიძე, ი. არბატოვი, ს. სერგეევი, მ. სულთანიშვილი და სხვანი.

პრესამ დიდი შეფასება მისცა პერინის ღვაწლს ქართული ბალეტის განვითარებაში. ქართული ბალეტის ისტორიას მჭიდროდ დაუკავშირდა ბრწყინვალე შემოქმედებითი ბედი გამჭრიახი გონების პატრონის, დიდი კულტურის მქონე დაუღალავი მშრომელის მარია პერინისა, ვინც მთელი თავისი ენერგია მიუძღვნა ქორეოგრაფიას.

პერინიმ 48 წელი დაჰყო საქართველოში, რომელიც მის მეორე სამშობლოდ იქცა. ამ ნატიფი სულის ხელოვანის თვალწინ, მისი უშუალო მონაწილეობით იქმნებოდა ქართული ეროვნული ბალეტი. 1936 წელს ის გახდა მოწმე ანდრია ბალანჩივაძის მუსიკაზე შექმნილი პირველი ქართული საბალეტო სპექტაკლის „მზეჭაბუკისა", რომელიც დადგა პერინის საყვარელმა მოწაფემ, შემდგომში გამოჩენილმა მოცეკვავემ და ბალეტმაისტერმა ვახტანგ ჭაბუკიანმა. საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყველა შემსრულებელი უკლებლივ პერინის მოსწავლე გახლდათ. ეს სპექტაკლი საბჭოთა საქართველოს საბალეტო და მუსიკალური კულტურის მძაფრი ზრდის ცოცხალ ილუსტრაციად გადაიქცა.

დიდია საქართველოსათვის პერინის მნიშვნელობა. მისი უანგარო ღვაწლი მუდამ დარჩება საბჭოთა საბალეტო ხელოვნების ისტორიის სახელოვან ფურცლად.

ალ. ჩხეიძე

შეუძლებელია საუბრობდე მარია იოსების ასულზე, როგორც პედაგოგზე და არ თქვა, თუ როგორი სულის ადამიანი იყო იგი. ვწერ ამ სტრიქონებს და სულში შუქი და სითბო მიდგება, ნათელი მეფინება. ის გვასწავლიდა ჩვენ არა მხოლოდ ბალეტს, ცეკვას, არამედ სიკეთეს, ადამიანობას. რამდენ სითბოს გვაფრქვევდა, რარიგ ზრუნავდა ჩვენთვის, რუდუნებით უვლიდა ტალანტის უმცირეს ყლორტებსაც კი და ყველა ჩვენგანში ცდილობდა აღენთო წმინდა ცეცხლის ნაპერწკალი.

დიდი მადლობა მას!

მარია ბაუერი,
საქართველოს სსრ სახალხო
არტისტი, სახელმწიფო
პრემიის ლაურეატი.

ჩვენ ყველას, მარია პერინის მოსწავლეებს, ნაზი გრძნობით გვიყვარდა იგი და ეს გრძნობა გაგვყვა მთელი ცხოვრების მანძილზე. ეს დიდი გულის ადამიანი, აღჭურვილი მაღალი მოქალაქეობრივი შეგრძნებით, ყველას გულითადი და ერთგული მეგობარი გახლდათ. უარის თქმა მისთვის უცხო იყო, მთელი სულითა და გულით ეხმარებოდა ყოველ ჩვენგანს.

ნინო რამიშვილი,
სსრკ სახალხო არტისტი, სახელმწიფო
და შოთა რუსთაველის სახელობის
პრემიების ლაურეატი.

მარია იოსების ასული პერინი!... ყველა სიტყვა, თუნდ ყველაზე თბილი და კეთილი, უძლური აღმოჩნდება მასზე საუბრისას. მან აღზარდა ნიჭიერთა დიდი გუნდი, გადასცა მათ მთელი თავისი ცოდნა. მოწაფეებმა კი, მიიღეს რა მისგან ეს ძღვენი, განამდიდრეს იგი თავიანთი ტალანტით და შეუდგნენ დამოუკიდებელ, ნათლით მოსილ ცხოვრებას ხელოვნებაში.

ბედისა თუ განგების წყალობით, მე, 12 წლის ბიჭი, შევეყარე პერინს და ამან კი გადამწყვეტი როლი შეასრულა მთელს ჩემს შემდგომ ცხოვრებაში. ბალეტს ალბათ ახლოსაც არ გავეკარებოდი, პერინი რომ არ გამოჩენილიყო ჩემს სავალ გზაზე.

ბავშვობაში ყოველი ჩვენგანი ზიარებია კეთილ, დაუვიწყარ ზღაპრებს. ასეთი სათნო ზღაპრული სამყაროდან ოდესღაც მოგვევლინა მარია იოსების ასული პერინი და დარჩა ჩვენთან სამუდამოდ.

ვახტანგ ჭაბუკიანი,
სსრკ სახალხო არტისტი, ლენინური და
სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნაბოლარა

თაფლისფერთვალება, ოქროსთმიანმა ბიჭუნამ იმდენი სიხარული და ბედნიერება მოუტანა მშობლებს, დებს, ძმასა და ახლობლებს... ისეთი საყვარელია, ლამის ჩაყლაპონ... კარგა ხანი ენა ვერ ამოიდგა, უცებ აჭიკჭიკდა, უამრავი ლექსი ისწავლა; სამი წლისაც არ არის და ზოგჯერ დიდივით იტყვის ხოლმე — „ჩემის აზრით“, „როგორც მსმენია“, ან „ნუ ღელავთ, ქალბატონო“, თან თვალებში ათასი ჭინკა უხტის, ჩემი ნათქვამი მოსწონთ თუ არაო.

ნიკუშა — ვენერა რამიშვილისა და ნოდარ კაჭარავას ნაბოლარა ვაჟი, ოჯახის უდიდესი ჯილდოა. ყოველი ცისმარე დილა მისი ტიკტიკით იწყება, „დედამიწაც და მზეც ნიკუშას ირგვლივ ბრუნავს“. — ბავშვი! — გაიძახის დიდი და პატარა. ნიკუშა ყველას საზრუნავია.

კიკლი, კიკლი კიბესა... ოჯახში საბავშვო ლექსებისა და სიმღერების ნამდვილი წარღვნაა.

როცა ნიკუშა დაიბადა, უმცროსი შვილი ნინიკო თერთმეტი წლისა იყო, თინიკო — თოთხმეტისა, კახა — თექვსმეტისა. მშობლებმა ოთხ ათეულს გადააბიჯეს. თითქოს ხანდაზმულობის ზარმაც ჩამოჰკრა, მაგრამ... ყველაფერი ანაზდეულად შეიცვალა. ოჯახში სიქორფემ და სილაღემ დაისადგურა. ახტაჯანა გოგონები ერთბაშად დადინჯდნენ, ძუძუმწოვარა, პაწაწინა ძამიკოს მოვლაში ერთმანეთს გაეჯიბრნენ. ასე დაეუფლნენ ისინი ქალის უპირველეს და უზენაეს მოვალეობას — შვილის გაზრდის მარად საჭირო ხელოვნებას. უეჭველია, თავის დროზე, ორივე დაიკო ყოველმხრივ მომზადებული, სრულფასოვანი დედა იქნება.

ნიკუშამ მამასაც და ძმასაც მიანიჭა ქორფა სიცოცხლეზე ზრუნვის სიამოვნება:

...ქათქათა, თეთრად აქაფებული აბაზანა. სრულდება წმინდა რიტუალი — ნიკუშა ბანაობს, მხიარულად ჭყლოპინებს, ფეხებს ძალუმად ადგაფუნებს და ყველას წუწავს... მისი შემყურენი მთელი გულით ხარხარებენ. სწორედ ესაა ლაღი, ოჯახური იდილია.

ასეთი სიხარული შეიტანა ოჯახში პედაგოგ ვენერა რამიშვილისა და ინჟინერ ნოდარ კაჭარავას მეოთხე შვილმა.

დედებო და მამებო, ვინც ორმოცს მიაღწევთ და გსურთ სიბერეს სულ ცოტა ათი წლით მაინც უკან დაახევინოთ, არ შეყოყმანდეთ, გააჩინეთ მეოთხე შვილი, გვერწმუნეთ — ამაზე უკეთესს ვერც საკუთარი თავისათვის და ვერც მამულისათვის ვერაფერს შექმნით.

ლ. ფრუიძე

## წერილი არ დაბეჭდილა, მაგრამ...

რედაქციას დახმარება სთხოვა სიღნაღელმა მოქალაქემ თ. კევლიშვილმა.

თ. კევლიშვილი გვწერდა, რომ იგი მარტოხელა დედაა, ზრდის ოთხი წლის ბავშვს, არის მედდა, არ მუშაობს, განიცდის უკიდურეს გაჭირვებას.

რედაქციამ გაითვალისწინა მარტოხელა დედის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა და დახმარებისათვის განცხადება გადაუგზავნა საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომის პირველ მდივანს.

საქართველოს კპ სიღნაღის რაიკომიდან გვატყობინებენ, რომ რაიკომში შეისწავლეს თ. კევლიშვილის განცხადება და დააკმაყოფილეს სამუშაო ადგილით, ამჟამად ის მუშაობს სიღნაღის რაისაავადმყოფოში მედდად.

რედაქციას დახმარებისათვის მომართა ლენინგორის რაიონის სოფელ ბალაანში მცხოვრებმა ი. ელოშვილმა.

ი. ელოშვილი პედაგოგია, შვილების დედა, აქვს დიდი ოჯახი. სკოლაში მოხდა გაუგებრობა და სამუშაოს გარეშე დატოვეს პედაგოგი, რის გამოც ოჯახთან ერთად განიცდის ეკონომიკურ გაჭირვებას.

რედაქციამ განცხადება გადაუგზავნა საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომს.

საქართველოს კპ ლენინგორის რაიკომიდან გვატყობინებენ:

„ლენინგორის რაიონის სოფელ ბალაანში მცხოვრებ ი. ელოშვილის წერილის თაობაზე გაცნობებთ, რომ მოქალაქე ი. ელოშვილს ბალაანის რვაწლიან სკოლაში მიეცა მათემატიკის გაკვეთილები. ლენინგორის რაიკომი ითვალისწინებს ი. ელოშვილის ოჯახურ პირობებს და მომავალშიც დაეხმარება მას, რომ ჰქონდეს სრული საათობრივი დატვირთვა სკოლაში“.

რედაქციას დახმარება სთხოვა თბილისელმა მოქალაქემ ა. ბეჟიკოშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა. ბეჟიკოშვილი ახალგაზრდა, მარტოხელა დედაა, მარტო ზრდის ოთხ ბავშვს. აქვს ერთი ოთახი საერთო სათავსოთი. მის მოპირდაპირედ გათავისუფლდა 14 კვ. მეტრი ფართის ოთახი. თხოულობს გაფართოებას.

რედაქციამ განცხადება გადაუგზავნა თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომს.

აღმასკომის სხდომაზე გაითვალისწინეს ა. ბეჟიკოშვილის ოჯახური მდგომარეობა, რომ ის მარტოხელა დედაა, ფართი არ ჰყოფნის, საბინაო აღრიცხვაზეა.

თბილისის კალინინის რაისაბჭოს აღმასკომიდან გვატყობინებენ:

„ა. ბეჟიკოშვილის თხოვნა კალინინის რაისაბჭოს აღმასკომის მიერ დაკმაყოფილებულია, მის ოჯახს დამატებით მიეცა 14 კვ. მეტრი ფართის ერთი ოთახი“.

რედაქციას კოლექტიური წერილი გამოუგზავნეს ქალებმა გალიდან.

სოფელ პირველი გალის კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქალები გვწერენ, რომ კოლმეურნეობას არა აქვს საბავშვო ბაღი, არც ოჯახში ბავშვების მიმხედავი ჰყავთ, უჭირთ შვილების აღზრდა და კოლმეურნეობაში მუშაობა.

რედაქციამ განცხადება გადაუგზავნა საქართველოს კპ გალის რაიკომს.

გალის რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების დირექტორი რედაქციას წერს:

„რედაქციაში შემოსული კონსტიტუციის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ქალების კოლექტიური წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ წერილში მოყვანილი ფაქტი სწორია, აღნიშნულ კოლმეურნეობას არ გააჩნია საბავშვო ბაღის შენობა. ძირითადი მიზეზი ისაა, რომ კოლმეურნეობას არა აქვს საშუალება საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს ბაღის მშენებლობა.

მიმდინარე ხუთწლედში, სახელმწიფო სახსრებით გათვალისწინებულია საშუალო სკოლის მშენებლობა ახალ შერჩეულ ადგილას, რომლის ექსპლოატაციაში გადაცემა ნავარაუდევია 1989 წლისათვის. გამოთავისუფლებულ ძველი სკოლის შენობას ჩაუტარდება მცირე მოცულობის სარეკონსტრუქციო სამუშაო და კეთილმოწყობილი ტერიტორიით დაეთმობა საბავშვო ბაღს.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებით დაკმაყოფილებულ იქნება სოფლის მცხოვრებთა მოთხოვნა“.

# მკითხველის საჩივარი

## ვითომ უმაღლესი ხარისხისაა?

იმ დღეს მაღაზიაში ერთმა ქალმა იკითხა, „იუგოსლავიური მაკარონი ხომ არა გაქვთო“. გამიკვირდა, თან გავბრაზდი და ცოტა უხეშად ვუთხარი: – ფრანგული სუნამო, გერმანული წინდა, ინგლისური კაბა, ფინური ლაბადა... ჩვენდა სავალალოდ, ყველაფერი უცხოური მოგვწონს, მაგრამ თუ თბილისური მაკარონიც არ მოგწონდათ, ეს არ მეგონა-მეთქი. ქალს გაეღიმა და მშვიდად მიპასუხა:

— შეიძინეთ ბატონო, და თუ მოგეწონებათ, მერე მისაყვედურეთ.

რა მომასვენებდა, მაშინვე ვიყიდე ერთი კილოგრამი მაკარონი. ყუთზე რამდენიმე ადგილას ლამაზი ასოებით აწერია — „უმაღლესი ხარისხის, ფასი 43 კაპიკი“. გავხსენი და თქვენს მტერს! მაკარონი ხომ ნახშირივით შავი აღმოჩნდა, მაკარონის გარდა ყუთში ქაღალდის ნახევი, სიგარეტის ნამწვავი და კიდევ რა ვიცი, რა არ ეყარა.

ძვირფასო რედაქციავ, ვწუხვარ, რომ ჩვენი „უმაღლესი ხარისხის“ მაკარონი, ალბათ რესპუბლიკის გარეთაც გადის, და მრცხვენია...

დიასახლისი თ. გორგოძე

## რა დავარქვათ ასეთ ნაწარმს?

დღეს, როგორც არასოდეს, რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები გარდაქმნაზე და ხარისხის გაუმჯობესებაზე მიგვითითებენ. ეტყობა, ცხოვრების ამ რიტმს ყველა ვერ უწყობს ფეხს, ბევრ რამეზე თვალს ხუჭავს და ისევ ძველებურად მუშაობს.

მაღაზიის თაროებზე ბლომად არის ჩამოლაგებული ერთკილოგრამიან ქილებში დაკონსერვებული ეკალა. ქილას გახსნი და შიგ ეკალა ძირიან-ბარდიანად არის ჩაყრილი. ოცი ცალი ქილიდან ას გრამ სუფთა ეკალას თუ გამოარჩევთ. განა ეს შეიძლება? ქილა ეკალას ფასი 60 კაპიკია. ნუთუ იმ საკონსერვო ქარხანას, სადაც ეკალას აკონსერვებენ, ერთხელ მაინც არ უფიქრია, რომ მათი გამოშვებული ნაწარმი უვარგისია.

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ დაგვეხმაროთ და თქვენი ხმა მიაწვდინოთ ეკალას დამამზადებლებს, მოაგონოთ, რომ დაკონსერვებული ეკალა ადამიანის საჭმელია და არა ცხოველისა.

დიასახლისები: დიასამიძე, ხარაზიშვილი, ლომიძე, თეთრაძე.

## ვისი ბრალია!

ძვირფასო რედაქციავ! იმ დღეს კიროვის ქუჩაზე, ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში კარტოფილის შესაძენად შევედი. გამყიდველს ვთხოვე ცოტა ხეირიანი კარტოფილი აერჩია. მართლაც ამირჩია და სამკილოიანი ბადურით მომაწოდა. ბადურაში ცერის სიმსხო დამპალი და დაავადებული კარტოფილი ეყარა. გაჯავრებულმა ბადურა დახლზე დავაგდე და უდანაშაულო გამყიდველს შევუტიე. გამყიდველმა მხრები აიჩეჩა და მითხრა:

— მე რას მერჩით, რასაც ლილოს ხილ-ბოსტნეულის კომბინატი გვაწვდის, იმას ვყიდიო; მერე ღიმილით დაუმატა: — თუ კარგი კარტოფილი გინდა, ბაზარში უნდა წახვიდეო...

იცოცხლეთ, საკოლმეურნეო ბაზრებში გლეხების ჩამოტანილ კარტოფილს რომ გადახედავ, გული გაგინათდება, მაგრამ ფასს არ იკითხავთ? კილოგრამი მანეთნახევარი, მანეთი და ოცდაათი კაპიკი ღირს, მაღაზიაში კი 15 კაპიკად იყიდება. წარმოიდგინეთ, მრავალსულიანი ოჯახისათვის რამხელა შეღავათია ხარისხიანი კარტოფილის მაღაზიაში შეძენა, მაგრამ მას კი თბილისის ვერცერთ ხილ-ბოსტნეულის მაღაზიაში ვერ ნახავთ. საინტერესოა, თუ კოლმეურნეს თავის საკარმიდამო ნაკვეთში ასეთი კარგი კარტოფილი მოჰყავს, საკოლმეურნეო ფართობში, იგივე მიწაზე ცერისოდენა კარტოფილზე უკეთესი რატომ არ მოდის?

ძვირფასო რედაქციავ, იქნებ ამის პასუხი თქვენ მაინც მოგცენ ქალაქის ხილ-ბოსტნეულით ვაჭრობის მესვეურებმა.

ც. კიტია



# [illegible] ათი წელი

ოდითგან თურმე ასე ყოფილა: ჩვენი წინაპრები დასახლებული ადგილების მიხედვით ყველაზე მაღლობს ირჩევდნენ წმინდა ადგილად და იქ აშენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ციხე-კოშკებს.

დღევანდელი მესხებისათვის წმინდა ადგილი და „სალოცავი" მათი დიდი ცდითა და რუდუნებით შექმნილი მუზეუმია და ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ 1973 წლიდან ქალაქის ცენტრიდან მუზეუმი ახალციხის თავს წამომდგარ, კლდეზე აშენებულ „ბებერი ლომისას" კედლებში გადაიტანეს.

...რამდენი აღზევებისა და დამცრობის, რამდენი ტკბილ-მწარის მომსწრეა „ლომისა"! სიმშვიდე და მოსვენება მის ნატყვიარ კედლებს ჯერ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან დაუდგა, შემდეგ, კი როცა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი დაეპატრონა, მისი აღზევება დაიწყო.

1986 წელი სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმისათვის ერთგვარად საიუბილეო წელიწადი იყო. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს შეეცვალა პროფილი და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, ამ დიდი სამეცნიერო დაწესებულების ხელმძღვანელობით მუშაობს.

ცალკეულ პირთა მიერ ექსპონატების შეგროვებით ჯერ კიდევ 20-იანი წლებიდან ჩაეყარა საფუძველი ქ. ახალციხეში სამხარეთმცოდნეო საზოგადოების შექმნას. 1923 წელს იქმნება ერთგვარი სამაზრო მუზეუმი, რომლის გამგედ დანიშნეს ი. ღვინიაშვილი. 1924 წლის 1 ივლისს კი გამგედ გადაიყვანეს ცნობილი საზოგადო მოღვაწის, „ვინმე მესხის" — ივ. გვარამაძის შვილი კონსტანტინე გვარამაძე. მასვე დაევალა სხვადასხვა დაწესებულებაში გაბნეული ძველი საარქივო ფონდების შეგროვება. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ კ. გვარამაძის ოჯახში დაცული იყო მამამისის ივ. გვარამაძის საკმაოდ მდიდარი არქივი, რომელიც არქეოლოგიურ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ, ზეპირსიტყვიერებათა მასალებს, ცნობილ მეცნიერთა და მათ შორის მიხეილ თამარაშვილის პირად მიმოწერას და სხვა მასალებს შეიცავდა. 1925 წელს უცდიათ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნა, მაგრამ უშედეგოდ. მუზეუმის გახსნამდე ქონების საიმედოდ დასაცავად საზოგადოება იძულებული გახდარა ექსპონატები შესანახად თბილისის სახელმწიფო მუზეუმისათვის გადაეცა.

მუზეუმის გახსნისათვის მხარის გამოჩენილ ადამიანთა და პატრიოტთა ცდასა და ზრუნვას უშედეგოდ არ ჩაუვლია.

1937 წელს ქ. ახალციხეში გაიხსნა მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, რომელიც პირველად სარგის თმოგველის სახელობისა იყო. 1941 წლიდან კი მას მიეკუთვნა დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელი.

1940-42 წლებში მუზეუმს ხელმძღვანელობს გერვასი ელიფთერის ძე ბარათაშვილი; 1976 წლის 1 აპრილიდან ივ. ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალია.

ამჟამად — სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი თავისი მდიდარი არქეოლოგიური, ისტორიული, ეთნოგრაფიული და საბიბლიოთეკო ფონდით, უნიკალური ხელნაწერებით მთელი სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი მძლავრი სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებას წარმოადგენს, რომელშიც თავმოყრილია 17,800 ექსპონატი. აქედან 794 ექსპონირებულია მაღალმხატვრულ და მეცნიერულ დონეზე მოწყობილ რვა საექსპოზიციო დარბაზში.

დამთვალიერებელთა დიდ ყურადღებას იპყრობს არქეოლოგიური დარბაზები, სადაც ჩვენს მხარეში მოპოვებული ექსპონატები (ქვის ხანიდან ანტიკურ ეპოქამდე) ასახავს ნივთიერი კულტურის განვითარების ნამდვილ ისტორიას.

ასევე მაღალმხატვრული გემოვნებით არის მოწყობილი ფეოდალური ხანის ორი დარბაზი, სადაც ნაჩვენებია ფეოდალური და ბურჟუაზიული ეპოქის მატერიალური კულტურა. რაც შეეხება რევოლუციურ და საბჭოთა პერიოდის საგამოფენო დარბაზს, აქ მოთავსებული ექსპონატები უშუალოდ ასახავს სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რევოლუციურ გამოსვლებს, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლას, დღევანდელი სამცხე-ჯავახეთის სახალხო მეურნეობის, მოსახლეობის ყოფისა და კულტურის განვითარებას.

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვების მე-40 წლისთავზე 1985 წელს მუზეუმს შეემატა ორი ახალი საექსპოზიციო დარბაზი — „სამცხე-ჯავახეთი დიდ სამამულო ომში", რომელიც ნათლად გვიჩვენებს დიდ სამამულო ომში სამცხე-ჯავახეთის მშრომელთა მონაწილეობას.

სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმში, რომელსაც ძალზე დიდ დახმარებას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, სისტემატურად იმართება სამეცნიერო სესიები, კონფერენციები, ლექციები. მეცნიერი მუშაკები ამუშავებენ სამეცნიერო თემებს, ეწყობა კომპლექსური ექსპედიციები. ბოლო ორი წლის განმავლობაში ექსპედიციები მოეწყო სამცხის უძველეს სოფლებში: ანდრიაწმინდასა, მუსხსა და ჭობარეთში. ამ ექსპედიციების შედეგად შეგროვდა უამრავი ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული და ტოპონიმიკური მასალა. მუზეუმის ფონდები გამდიდრდა ძალზე საინტერესო ექსპონატებით. მუზეუმში შემოსული 253 ექსპონატიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია მესხი ქალების მიერ უაღრესად დახვეწილი გემოვნებით, ფერისა და ორნამენტის შეთანაწყობით მოქსოვილი ხალიჩები, ფარდაგები, ჯეჯიმები, ხურჯინები, ჯვალოები... მუზეუმი გამდიდრდა საინტერესოწარწერიანი და ჩუქურთმიანი ქვებით, რომლებსაც ადგილებზე დაკარგვა-დაზიანების საშიშროება ემუქრებოდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ადიგენის რაიონის სოფ. ციხისუბანში ექსპედიციის მოძიებით აღმოჩენილი 1103 წლის წარწერიანი ქვა. ეს წარწერა პროფ. დევი ბერძენიშვილმა შემდეგნაირად წაიკითხა:

„ქრისტე შეიწყალე ასვათ ძმანი მისნი ავაგე ესე კოშკები, დავდგი ლაგამად მტერთათვის ყოველგან დასახედავად, ყოველთა მრავალ ფერთათვის, შებმა შეგებედა საწუთრომ ლახვარმა მამის ერთათვის და გოლიათად ამხ... თავს.... ქორონიკონი იყო... ტკგ 1103?".

საინტერესოა, რომ ჩვენი მიკვლეული და ნანახი ძეგლების შესახებ ან ძალიან მცირე ცნობები მოიპოვება, ან არ არსებობს არავითარი ცნობა სამეცნიერო ლიტერატურაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში გადასულ მუზეუმს 1987 წლის იანვარში თავისი თავდაპირველი დაარსების 50 წელი შეუსრულდა.

ვ. მოდებაძე,
სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის მეცნიერი მუშაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქალთა განათლების ისტორიიდან

# თელავის საქალებო სკოლა

მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-პედაგოგიური მოღვაწეობის ასპარეზზე გამოვიდა განმანათლებელი, ჟურნალისტი და მრავალმხრივი საზოგადო მოღვაწე ივანე პავლეს ძე როსტომაშვილი (1852-1924). მან თავისი მოღვაწეობის მთავარ მიზნად მოზარდი თაობის ახლებურად აღზრდისა და სწავლა-განათლების პროგრესულ ნიადაგზე გარდაქმნის საქმე გაიხადა. იგი დღის წესრიგში აყენებდა ქალ-ვაჟთა ერთნაირი განათლების შემოღების საკითხს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ქალს ამავე დროს უნდა შეესწავლა „ხელთ საქმე" და სხვა საოჯახო საქმიანობაც. ივანე როსტომაშვილი დაჟინებით მოითხოვდა დაუყოვნებლივ გახსნილიყო დედათა სკოლა, თუნდაც ჯერჯერობით მარტოოდენ პირველ-დაწყებითის სკოლის ბაზაზე, რომელიც შემდეგ თანდათან გადაკეთდებოდა „დედათა აკადემიად". მან თავისი „გულის დიდი ხნის ხვაშიადთაგანი" დიდი გარჯისა და შრომის ფასად აისრულა 1884 წელს, როცა მთავრობისაგან მიიღო ნებართვა თელავში გლეხ ქალთა სკოლის დაარსების თაობაზე.

ივანე და ელისაბედ როსტომაშვილების დაარსებული „გლეხ ქალთა სკოლა" თავისი შინაარსითა და მუშაობის პრინციპებით ნამდვილი სახალხო იყო. იგი მიზნად ისახავდა ულარიბესი ფენის ახალთაობაში პირველდაწყებითი განათლების შეტანას. სკოლაში სწავლობდნენ „დალაქების, დაბალების, ხარაზების, მეკრამიტეების, მეჭურჭლეების, მებალეების, მედუქნეების, ბაზაზების და, ერთი სიტყვით, ყველა ხელობის და წოდების კაცთა შვილები" (გაზეთი „დროება" 1884, №178). მართალია, ამ სკოლაში სწავლა ქართულ ენაზე წარმოებდა, მაგრამ ივ. როსტომაშვილს თავიანთ შვილებს აღსაზრდელად სომხებიც აბარებდნენ.

რადგან იმდროინდელი კანონის მიხედვით აკრძალული იყო უფასო სკოლის დაარსება, მოსწავლეებზე მცირე გადასახადი დააწესეს. (ერთ მოსწავლეზე ათი შაური) სამაგიეროდ, სკოლის მესვეურნი (ივ. როსტომაშვილი, ელისაბედ ჩოლოყაშვილი-როსტომაშვილისა, მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი) ღარიბ-ღატაკთა შვილებს ყოველთვიურად აძლევდნენ ფულად დახმარებას, ხოლო მასწავლებლები უსასყიდლოდ მუშაობდნენ.

„სკოლა შედგებოდა სამი განყოფილებისაგან. დედაენის შესწავლის შემდეგ უფროს განყოფილებაში ასწავლიდნენ რჩეულ თხზულებებს. დიდი ყურადღება იყო მიქცეული ამ განყოფილებაში თხზულებების წერაზე, და საზოგადოდ წერა-კითხვის ხალისის აღძვრაზე, გარდა ამისა, სწავლობდნენ საღმრთო წერილს, ანგარიშს და რუსულ ენას კალანდარაშვილის სახელმძღვანელოთი". (გაზ. „დროება", 1884, №178 გვ. 2).

სკოლაში მასწავლებლებად მიწვეული იყვნენ მღვდელი (ვანო) ი. შიუკოვი (დრამატურგ ნიკო შიუკაშვილის მამა), ი. კაპანაძე, მ. ქვლივიძე და სოფიო ზარაფიშვილისა. ხელსაქმეს (წინდების, სუფრების ქსოვა და კერვა) ყველა განყოფილებაში ასწავლიდა ივ. როსტომაშვილის მეუღლე ელისაბედ ჩოლოყაშვილი.

სკოლას მეგობრობდნენ და დიდ დახმარებას უწევდნენ მუშა-პოეტი იოსებ დავითაშვილი (იგი თავის ხელით აკეთებდა სკოლისათვის საჭირო ინვენტარს), ალ. ყაზბეგი (რომელიც ამ პერიოდში როსტომაშვილებთან ცხოვრობდა), ექიმი ზელნიცკი, მეაფთიაქე ანა ივანეს ასული ვოლოხოვისა, ივლიტა ჩერქეზოვი, მომრიგებელ-მოსამართლე ყარანგოზოვი, ნოტარიუსი ციცქიევი, მ. პ. ანდრონიკოვი, გ. სვირელი, მ. ქვლივიძე, ი. კაპანაძე, თამაზ და ივანე რუსიევები, კოტე მახვილაძე და სხვები. სკოლას მხარში ედგა აგრეთვე დ. გამყრელიძე, (აწყურელი), რომელიც გლეხ ქალთა სკოლის სასარგებლოდ წარმოდგენებს მართავდა.

მღვდელი ვანო შიუკაშვილი საღვთო სჯულის ნაცვლად მოსწავლეებს შეფარვით საქართველოს ისტორიას ასწავლიდა.

რამდენადაც სკოლის მიზანი მოსწავლეთა პრაქტიკული ცხოვრებისათვის მომზადება იყო, ივ. როსტომაშვილი, როგორც სკოლის მესვეური, მოსწავლეთა შრომითს აღზრდას დიდ ყურადღებას უთმობდა. მნახველთა ყურადღებას იპყრობდა სკოლის მოსწავლეთა მიერ ფაქიზად და გემოვნებით შესრულებული ხელსაქმის ნიმუშები.

ივ. როსტომაშვილის დაუცხრომელი სურვილი იყო სკოლის მოსწავლეები ღირსეულ დედებად, განათლებულ დიასახლისებად, თავისი ერისა და სამშობლოს უანგარო მსახურებად აღეზარდა. გლეხ ქალთა სკოლის კურსდამთავრებულნი, რომელნიც ჯერ კიდევ ბავშვობაში ეზიარნენ ივ. როსტომაშვილისა და მის მიმდევართა მოწინავე დემოკრატიულ იდეებს, წარმატებით აგრძელებდნენ სწავლას მაღალი საფეხურის სასწავლებლებში; ისინი ყოველმხრივ მომზადებულნი იყვნენ პრაქტიკული ცხოვრებისათვის. სკოლა ზოგად განათლებასთან ერთად მოსწავლეებს აძლევდა ცხოვრებისეულ ცოდნას, ბევრი მათგანი შემდეგ გახდა კიდეც საზოგადოების აქტიური წევრი და ახალთაობის საუკეთესო აღმზრდელი.

ივ. როსტომაშვილი, როგორც მოწინავე პედაგოგიური იდეების მატარებელი, სწავლა-აღზრდაში მოითხოვდა ახალთაობის ჰარმონიულ განვითარებას. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ბავშვების მუსიკალურ განათლებას. ამიტომ მან გლეხ ქალთა სკოლაში სიმღერის გაკვეთილები დააწესა და ეს საქმე იმ დროისათვის უკვე აღიარებულ ლოტბარს ზაქარია ჩხიკვაძეს მიანდო.

როგორც აღვნიშნეთ, მრავალი დაბრკოლება გადაეღობა სკოლას შექმნისა და ჩამოყალიბების გზაზე. მატერიალურ სივიწროვეს თან ერთვოდა ადგილობრივ მოხელეთა და ვაჭართა შური და მტრობა. დაარსების პირველ დღეებში სკოლას შვიდი მოსწავლე ჰყავდა, რაც გამოწვეული იყო ივ. როსტომაშვილის მოწინააღმდეგეთა აქტიური მეცადინეობით, მაგრამ მოსწავლეთა რიცხვმა ჯერ 62-ს, და ბოლოს 100-ს მიაღწია, იმდროინდელი განათლების „მესვეურთა" რჩევით 1888 წელს ივ. როსტომაშვილი იძულებული გახდა მიეტოვებინა თავისი ნაამაგარი საქალებო სკოლა, მოშორებოდა მშობლიურ მხარეს და სამუშაოდ ახალქალაქის მაზრაში გადასულიყო. მან თხოვნით მიმართა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას, რათა „მიეღო თავის სრულს გამგებლობაში".

მართალია, საქალებო სკოლამ მცირე ხანს იარსება, მაგრამ თავისი პროგრესული მიმართულებითა და მიზანდასახულობით თელავის მაზრის ქალთა განათლების ისტორიაში ნათელი კვალი დატოვა.

ლამარა იანვარაშვილი,
პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის კათედრის გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ფშაური სამზარეულო

## დამბალი ხაჭო

დამბალი ხაჭო ფშაველების საყვარელი საჭმელია. იგი მზადდება შემდეგნაირად:

ახალი ხაჭო დაამარილეთ გემოვნების მიხედვით და კარგად ზილეთ (10-15 წუთი მაინც). შემდეგ გააკეთეთ კაკლისოდენა კვერები და დააწყვეთ ჰაერზე გასახმობად. კარგად გამხმარი კვერები ჩააწყვეთ თიხის ქოთანში, დაახურეთ თავსახური და შეინახეთ გრილ ადგილზე (სარდაფში). ასე დატოვეთ სამი თვე. შემდეგ გახსენით და ნახავთ, რომ ხაჭოს კვერები დაობებულია და სუნიც სპეციფიური აქვს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ლპობა დაუწყია, მაგრამ ეს ასე არაა.

ამგვარად დამზადებულ ხაჭოს კვერებს ფშაველები მთელი ზამთარი იზოგავენ. მისგან ამზადებენ ფშავში მეტად პოპულარულ საჭმელს — ხაჭო ერბოს, რომელიც მზადდება შემდეგნაირად:

დამბალ ხაჭოს 5-6 ცალ კვერს გადაფხეკავენ (ისე რომ მხოლოდ ობს მოაცილებენ), შემდეგ წვრილად ჩათლიან ჯამში. ტაფაზე დადებენ 50 გრამ ერბოს, ან 100 გრ კარაქს, გაადნობენ, დააყრიან დაქუცმაცებულ ხაჭოს და გააცხელებენ, შემდეგ მას დაუმატებენ ცოტაოდენ წვრილად დაფშვნილ გამომშრალ პურს და ერთად გააცხელებენ 15-20 წუთის განმავლობაში.

ამგვარად მომზადებულ ხაჭო-ერბოს სპეციფიური სუნი ეკარგება და მეტად სასიამოვნო საჭმელია. იგი ცხელ-ცხელი უნდა მიირთვათ.

## ახალი ხაჭო-ერბოს კერძი

ტაფაზე გაადნეთ 50 გრ ერბო ან 100 გრ კარაქი. შემდეგ დაუმატეთ მას 200-250 გრ ახალი ხაჭო, აურიეთ და კარგად გააცხელეთ. მოაყარეთ დანის წვერით საჭმელი სოდა. 3-4 წუთის შემდეგ მოასხით კარგად ათქვეფილი 1-2 ცალი კვერცხი, მარილი გემოვნებით, გააჩერეთ ცეცხლზე 4-5 წუთი და კერძიც მზადაა.

## ანტრია

ხორბლის ფქვილისაგან მოზილეთ ცომი ცივი წყლით. გააბრტყელეთ ისე, როგორც სახინკლე ცომი. დაჭერით რომბისებურად ან კვადრატულად, ჩაყარეთ მდუღარეში და ხარშეთ 15-20 წუთი.

ვიდრე ცომი მოიხარშებოდეს, 200 გრ ახალ ხაჭოს შეურიეთ 50 გრ ერბო ან 100 გრ გამდნარი კარაქი, კარგად დანაყილი 4-5 კბილი ნიორი და მარილი გემოვნებით. ამგვარად შემზადებული ხაჭო მოათავსეთ მომინანქრებულ თასში, შემდეგ მოხარშული ცომი (ანტრია) ქაფქირით ამოალაგეთ იმავე თასში, კარგად აურიეთ ხაჭო — კარაქ-ნიორის საკმაზში და ცხელ-ცხელი მიიტანეთ სუფრაზე.

## ხავიწი

ეს საჭმელი წინათ მთაში მეტად პოპულარული ყოფილა. თავისი მაღალი მაწიერობის გამო თურმე ლაშქრად მიმავალთ საგზლად მიჰქონდათ ხოლმე. მზადდება ძალიან მარტივად.

500 გრ ერბო დაადნეთ ქვაბში. შემდეგ ნელ-ნელა ჩაყარეთ პურის ფქვილი, ისე რომ შესქელებული მასა მიიღოთ. ნელ-თბილ ცეცხლზე შუშეთ 15-20 წუთი, გემოვნებით შეაზავეთ მარილით და ხავიწი მზადაა. (ინახება დიდხანს).

## ჭინჭრის ხინკალი

ყველასათვის ცნობილი ხორცის ხინკალი, ფშაველების საყვარელი საჭმელია. საპატიო სტუმარს აუცილებლად ხორცის ხინკალს მოუმზადებენ ხოლმე. ოჯახში კი ხორცის ხინკალს უფრო მეტად შაბათ საღამოს ან კვირას ხარშავენ. მას „ჯერის თავს“ ეძახიან.

გარდა ხორცისა აკეთებენ ხაჭოს, კარტოფილის, მხლის და ჭინჭრის ხინკალსაც.

ჭინჭრის ხინკალი დიეტური და მეტად სასარგებლოა. მზადდება შემდეგნაირად: კარგად გარჩეული და გარეცხილი ჭინჭარი წვრილად დაჭერით, დაუმატეთ წვრილადვე დაჭრილი ქინძი და ხახვი, გემოვნების მიხედვით დააყარეთ მარილი და კარგად აზილეთ 50 გრ ერბოში ან 100 გრამ კარაქში. ამგვარად შემზადებული ფარში ჩადეთ სახინკლე ცომში, ჩვეულებრივ დაახვიეთ და მდუღარე წყალში ჩაყარეთ.

10-15 წუთის დუღილის შემდეგ ამოიღეთ, მოასხით ცოტა ერბო და ცხელ-ცხელი მიირთვით.

## გუგლუმა

სიმინდის ფქვილს დააყარეთ ცოტა მარილი და მოზილეთ ცხელი წყლით. გააკეთეთ ხინკალზე მოზრდილი კვერები და ჩაყარეთ მდუღარეში. 15-20 წუთი დუღილის შემდეგ ამოიღეთ და ცხელ-ცხელი მიირთვით გუდის ყველთან ან სულგუნთან ერთად.

## ერბოს ქადა

აიღეთ ერთი ჩაის ჭიქა ერბო. გააცხელეთ ნელ ცეცხლზე, ნელ-ნელა მოაყარეთ ხორბლის ფქვილი და ურიეთ სანამ შესქელებულ მასას არ მივიღებთ, შემდეგ შუშეთ 5 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ მარილი გემოვნებით. მიღებული მასა გაანაწილეთ საფუარზე მოზელილი ცომის გუნდების მიხედვით, მოათავსეთ ცომის გულში, მოუყარეთ ცომს თავი, გააბრტყელეთ და გამოაცხვეთ ისევე, როგორც ხაჭაპური. გამომცხვარ ქადას ზემოდან წაუსვით ერბო.

## კარტოფილის ქადა

მოხარშეთ 1 კგ კარტოფილი, გაფცქვენით, კარგად დასრისეთ ან ხორცის მანქანაში გაატარეთ. 2-3 თავი წვრილად დაჭრილი ხახვი მოშუშეთ 100 გრ ერბოში და შეურიეთ კარტოფილს (მარილი უყავით გემოვნებით) მიღებული მასა ჩადეთ გაფუებულ ცომის გულში და გამოაცხვეთ, როგორც ხაჭაპური, გამომცხვარს ზემოდან გადაუსვით ერბო.

## მხლის ქადა

მოხარშეთ 1 კგ მხალი. (თითმავალა, ნაცარქათამა, ისპანახი ან ჭარხლის ფოთოლი) გაწურეთ, გაატარეთ ხორცის საკეპ მანქანაში. 100 გრამ ერბოში მოშუშული 3-4 თავი ხახვით შეაზავეთ (მარილი არ დაგავიწყდეთ) და კარგად გაზილეთ. გაახვიეთ გაფუებულ ცომში და გამოაცხვეთ როგორც ხაჭაპური. ზემოდან გადაუსვით კარაქი, დაჭერით ზომიერ ნაჭრებად და ცხელ-ცხელი მიირთვით, უთუოდ მოგეწონებათ.

თამარ ჩეკურიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქმესთან ერთად

ამბობენ, ქალის ცხოვრებაში ექვსი პერიოდია: ჩვილი ასაკის, ბავშვობის, შეღერების და ახალგაზრდობის, ახალგაზრდობის, ახალგაზრდობის.

უბერებლობის საიდუმლოება სახის კანის გულდაგული მოვლაა. ამის დრო ყოველთვის მოინახება, მაშინაც კი, როცა სამზარეულოში ტრიალებთ. მთავარია მონდომება.

თქვენ სადილს ამზადებთ, თლით და ჭრით ბოსტნეულს, ხშირად ხმარობთ საპონს და ფხვნილებს, რისგანაც ხელის კანი გიმუქდებათ, გიშრებათ და გიუხეშდებათ. ასეთ შემთხვევაში კარგია ლიმონით გაწმენდა.

თქვენ ნამცხვარი და ბლინები დაამზადეთ. ნაჭუჭში დარჩა ცილა. მოაგროვეთ და წაისვით სახესა და ხელებზე 2-3-ჯერ. არაყნის, კარტოფილის პიურის, მანანის ან ჰერკულესის ფაფის ნარჩენები საუკეთესოა კოსმეტიკური ნიღაბისათვის, კარგია რამდენიმე წვეთი ზეითუნის თუნდაც მზესუმზირის ზეთის ჩამატება სახის კრემში ან ნიღბის მასალაში. ხილისა და ბოსტნეულის (ვაშლის, ფორთოხლის, ლიმონის, კიტრის, სტაფილოს) ნარჩენები გახეხეთ და მისი ფაფა წაისვით სახეზე. ჭორფლისა და ლაქების მოსაშორებლად, აგრეთვე სახის გასათეთრებლად კარგია ხაჭოსაგან დამზადებული ნიღაბი, რომელსაც უნდა გაურიოთ ცოტაოდენი კვერცხის გული და 2-3 წვეთი პერეჰიდრონი. მეორე ვარიანტიც არსებობს: კოვზის წვერით აიღეთ ხაჭო, აურიეთ მორჩენილ თაფლში, რძესა და კეფირში, დაამზადეთ მისგან არაყნის სისქის კრემი და 30-40 წუთით წაისვით სახეზე, შემდეგ ჩამოიბანეთ და გაიწმინდეთ ლიმონით.

ერთი სიტყვით, პროდუქტების ნარჩენებს ნუ გადაყრით. ისინი სახის ყოველდღიური მოვლისათვის გამოგადგებათ.

ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინადან".

# რჩევები დიასახლისს

1. ვერცხლის ნივთები კარგად იწმინდება კბილის ფხვნილით ან პასტით. შეიძლება გაწმინდოთ აგრეთვე ცარცისა და ნიშადურის სპირტის ნარევით. შემდეგ უნდა გარეცხოთ და გააპრიალოთ.

2. ნამდვილი მარჯნები შეგიძლიათ გარეცხოთ ოდნავ მარილიანი წყლით, ნამდვილი მარგალიტები კი — საპნიანი წყლით. გარეცხვის შემდეგ შეგიძლიათ გაწმინდოთ ლიმონის წვენით, გადაავლოთ ცივი წყალი და ფრთხილად შეამშრალოთ.

3. სპილოს ძვლისგან დამზადებული ნივთები შეგიძლიათ გარეცხოთ საპნიან წყალში რბილი ჯაგრისით. ძალიან ჭუჭყიანი სპილოს ძვლის ნივთები შეგიძლიათ გარეცხოთ დენატურირებულ სპირტში და გადაავლოთ ცივი წყალი.

4. დანას ადვილად გალესავთ, თუ მას წინასწარ ჩაალბობთ ნახევარი საათით მარილიან წყალში. (1 სუფრის კოვზი მარილი ლიტრ წყალზე).

5. მინებს თუ გაწმენდთ სელის ნაჭერში ჩაყრილი მარილით, აღარ დაიორთქლება.

6. გარეცხვის შემდეგ, ფერადი ქსოვილის გავლებისას წყალს უნდა დაუმატოთ ცოტაოდენი მარილი. ამით ქსოვილი შეიძენს სიხასხასეს.

„გოსპოდინი", № 44, 85 წ.

გარეკანის პირველ გვერდზე — ფოტოეტიუდი — დედაშვილობა; მეოთხეზე — თბილისელ მეგობელთა ნამუშევრები

მთავარი რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი
Главный редактор МАРИКА БАРАТАШВИЛИ

სარედაქციო კოლეგია: ნ. ბურბენიძე, ლ. კაკაბაძე (პ. მგ. მდივანი) ნ. გაფრინდაშვილი, ზ. კვაჭაძე, ნ. კილასონია, თ. ლაშქარაშვილი, ქ. ლომთათიძე, ნ. ჟვანია, პ ქლენტი, ც. ტერელაძე (მხატ. რედაქტორი), ნ. შალუტაშვილი, ლ. შეწირული, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა
Издательство ЦК КП Грузии

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, 380096. Тбилиси, Ленина, 14.
Адрес редакции: 380096, Тбилиси, Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №№ რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68, განყოფილებების: მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის 93-25-64 ლიტერატურისა და ხელოვნების 93-98-53, კულტურისა და ყოფაცხოვრების 93-98-50, მშრომელთა წერილებისა და მასობრივი მუშაობის 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57. ტექნიკური რედაქტორის 93-98-58. საერთო განყოფილების 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 5. 05. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9. 06. 87 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,8.
Условных печатных листов 3, учетно-издательских листов 5,8. ტირაჟი 160.000 შეკვ. 1184 უე 04874



ეროვნული
ბიბლიოთეკა

100 - 12 6169/103

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თბილისელ მემოდელეთა ნამუშევრები**

ინდექსი









ფასი 30 კაპ.